საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. შაბათი, 8 თებერვალი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ერთობა

ფასი 75 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 18 მანეთი ... ცალკე ნომერი ღირს 75 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჭირო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოსაწერად ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ერთობის" რედაქცია. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 31 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 31

წმიდის მამა დავითის ტაძარში კვირას, 7 იანვარს, ძველი სტილით (ახ. ლი 9 თებერვალი) ოთხი წლის შესრულების თავზი გადახდილი იქნება

**მგოსანი აკაკისთვის**

წირვა და პანაშვიდი საქართველოს კათალიკოზ პატრიარქის მოსაყდრე ლეონიდის მიერ თფილისის სამღვდელოებითურთ. ეს პირველი პანაშვიდი იქნება დიდი მგოსნების აკაკის, ილიასი და თავდადებული ქართველის დიმიტრი ყიფიანისა თავისუფალ საქართველოში.

ღრმად დამწუხრებულნი ელენე, ივანე და შუქურა ჩხაკვაშვილები ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის ძვირფასი დედის, მეორეს სიდედრის და მესამეს საყვარელი ბებიის

**მალა ივანეს ასულის კალანდაძის**

გარდაცვალებას. დასაფლავება დანიშნულია შაბათს, 8 თებერვალს დ. ხიდის თავში. (2—2)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მარიამ ზურაბის ასული; შვილები: ვლადიმერ, მიშა, თევდორე და კოლა, რძლები თამარა და ნინა, შვილის შვილები მანუჩარი და გიორგი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგ მეგობრებს, რომ 5 თებერვალს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. თფილისში გარდაიცვალა მათი ძვირფასი

**ივანე (იორდანე) გიორგის ძე მაისურაძე**

გამოსვენება საკუთარ ბინიდან (ნაზარეთის ქუჩა № 65) დღეს დილის 10 საათზე. დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. 1—1

ნაძალადევის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სომხებთან შეტაკების დროს ტყვეთ ჩავარდნილ და ტყვეობიდან განთავისუფლებული ათი დღის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამხ.

**დოლოსტი გესარიონის ძე ახვლედიანი**

რომლის დაკრძალვა მოხდება ძმათა სასაფლაოზე სამშაბათს, 11 თებერვალს, დღით 3 საათზე. (1—1)

გულდამწვარნი მშობლები—ლევან და ნინო. ძალუები: კატო და ნინა, ბიძები. იაგორ და ვანო, ძმა კოტე და დაი მაკრო მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 9 თებერვალს, ვერაზე წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი სომხებთან ბრძოლაში გმირულად დაღუპული სტუდენტის

**მიტო (დიმიტრი) გომელაურის**

სულის მოსახსენებლად. (1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ვერიჩკა, მშობლები: ალექსანდრე და ელისაბედ, ძმები: რაფიელ, გერმანე და ლავრენტი, პატარძლები: სონა, პელაგი და ეკატერინე ჯიბლაძეები, დაი თამარა და სიძე თევდორე დოლიძეები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი საყვარელი ქმრის, მეორე და მესამე ძვირფასი შვილის, ხოლო დანარჩენნი ძმის

**ტარასი ალექსანდრეს ძე ჯიბლაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 8 თებერვალს სოფ. ამაღლებაში ნათლის მცემლის ეკლესიის გალავანში. (1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ნინო, ძმა მღ. ალექსი, მეუღლე თეკლე, რძალი მინადორა დუგბუაძის ასული და ძმისწულები კაჭარავები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 11 თებერვალს (ძვ. სტ. 29 იანვ.) ღ. აბაშაში საკაჭარავოს ეკლესიაში დღით სამშაბათს, გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი აწ განსვენებულის მღვდლის

**კალისტრატე (ყარამან) კაჭარავას**

სულის მოსახსენებლად.

# განცხადება

ქ. თფილისის საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების კომიტეტი ამით აცხადებს, რომ 5 ამა თებერვლიდან დაიწყება საქართველოს სახელმწიფო ხაზინის 5 პროც. მოკლე ვადიან ვალდებულებათა გაყიდვა თფილისის შემდეგ დაწესებულებებში:

1) თფილისის სახელმწიფო ბანკის კანტორაში; 2) კავკასიის ბანკში; 3) თფილისის ვაჭრების ბანკში; 4) ამიერ-კავკასიის ბანკში; 5) აზოვ დონის კომერციულ ბანკში; 6) პეტროგრადის საერთაშორისო—კომერციული ბანკის განყოფილებაში; 7) თფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში; 8) თფილისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საურთიერთო კრედიტში; 9) თფილისის მეორე საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში; 10) „ა. ო. ფრიდლენდის და კ—ნია"-ს ბანკირთა კანტორაში; 11) მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილებაში; 12) თფილისის რუსთა საზოგადოების საურთიერთო კრედიტში; 13) კავკასიის საზოგადოების საურთიერთო კრედიტში.

შეძენა ვალდებულებათა შეიძლება მხოლოდ ნაღდ ფულებზე ფინანსთა მინისტრის მიერ გამოქვეყნებულ პირობებში. (1—1)

ეშმაკი და თარგუხა
„ახირებული"
რვეული I.
გამოვა ხვალ
საწყობი „ერთობის" კანტორაში.

## ვერსალი და ბერნი

პატარა ქვეყნების ბედს ვერსალში წყვეტენ ომში გამარჯვებული სახელმწიფონი, მაგრამ მათ გვერდით შვეიცარიის პატარა ქალაქ ბერნში შეიკრიბნენ მუშათა წარმომადგენელნი. შეიკრიბნენ წარმომადგენელნი იმ მასსის, რომელიც მთავარ სამხედრო ძალას წარმოადგენდა ორივე მხარისთვის. შეიკრიბნენ მუშები, რომელნიც კაპიტალისტების მუხანათობის წყალობით გუშინ ერთი მეორეს ტყვიით და ცეცხლით უმასპინძლდებოდნენ. საერთაშორისო კავშირი, რომელიც გასწყვიტა ამ ოთხი წლის წინეთ ცეცხლის ალმურმა, ძმობა სოლიდარობა, რომელიც შემუსრა ომის ქარიშხალმა, დღეს კვლავ იკიდებს ფეხს და ომის საშინელ ნანგრევებზე, სისხლის გუბეებზე კვლავ ცდილობს გააბას ის ძაფი, რომელიც მაგარ ჯაჭვათ იქცევა მუშათა ხელში.

ვერსალი სწყვეტს ბედს მსოფლიოსას. ასეა დღეს ხოლო ბერნი მსჯელობს იმაზე, თუ როგორ მოუყაროს თავი თავის დაქსაქსულ ძალებს.

ვერსალი დღესასწაულობს გამარჯვებას და იყოფს ნადავლს, ბერნი ახლა იკრებს ძალებს და სამოქმედო საბრძოლველ ლაშქარს ადგენს.

პირველი დღევანდელი ბატონია, მეორე სახვალიო საბატონოთ ემზადება, იქ ომის ბატონნი შეგროვდენ. აქ, ბერნში ომის მსხვერპლნი თათბირობენ. ბატონნი გარეგნულად შეთანხმებული არიან და არსებითად კი ერთი მეორისთვის ნადავლიდან ტკბილი, გემრიელი ლუკმის გამოტაცებას ზრუნავენ, ბერნში ერთმანეთს გააფთრებული ეკვეთებიან, ცოდვებს და შეცდომებს აყვედრიან, მაგრამ ყველას ერთი აზრი და მიზანი აქვს—საერთო ინტერესების დაცვა—მუშათა კლასის წმინდა კლასობრივი ეროვნებისგან დამოუკიდებლათ, ინტერესები გაატარონ ცხოვრებაში.

ვერსალში სოლიდარობის სიტყვებ ქვეშ, განხეთქილების და წინააღმდეგობის ახალი კვანძები ინასკვება. აქ ბერნში, იდეურ ბრძოლის ქვეშ ერთობის გრძელი ხიდები და ერთობის მტკიცე ჯაჭვი იჭედება.

იქ სიძლიერეა, აქ კი სისუსტე, მაგრამ ეს დღეს. ხვალ კი მეორე გაიზრდება, პირველი კი უკან დაიწევს, ვერსალში იწერება ისე, როგორც არა ერთხელ ახალი ფორმულები, ახალი სიტყვები, ახალი წინადადებანი, მაგრამ დარჩება ძველი კონფერენცია, ძველი საომარი მზადება.

ბერნში იწერება მხოლოდ წარსულ ჭრილობათა მალამო, შემზადდება იარათა განმკურნავი წამალი, და განახლების გაერთიანების სიტყვა ითქმება, სიტყვა გაუგებრობის მომსპობი და ინტერესით შეერთებულ ძალების—იდეურათ გამაერთიანებელი.

ჩვენ არ გვაშინებს ის, რომ ვერსალის დიპლომატები ერთმანეთს ტკბილად ესაუბრებოდნენ, არც ის გვიკლავს გულს, რომ ამხ. რენოდელი მწვავე სიტყვებს ესვრის გერმანიის მეუმრავლესეთა ფრაქციას.

იქ მოწინააღმდეგენი ლაქუ ობენ, აქ ძმები დავობენ, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ ძმები ისევ ძმებათ დარჩებიან, ხოლო ინტერესთა წინააღმდეგობას ლამაზი სიტყვები ვერ მოშლიან. ვერსალმა აღიარა საჭიროება „ხალხთა ლიგის" საყოველთაო იარაღის აყრის, ყველა ერის თანასწორი უფლებებით აღჭურვის, მაგრამ გ მისტოვა აქედან ბრძოლაში დამარცხებულნი ერები და ამით ერთიანად მოშალა მთავარი აზრი თავის დებულების. თვით ამერიკის რესპუბლიკანური პარტია, რომლის წარმომადგენელი ვილსონი ავტორია „ხალხთა ლიგის" წინადადების, დღეს ისეთ სახელს აძლევს ამ იდეას, რომ მას ეკარგება მთელი თავის აზრი და მნიშვნელობა. იგი ხდება არა ხალხთა ლიგათ, არამედ ზოგიერთ ხალხთა ლიგათ, დანარჩენების წინააღმდეგ და ეს დანარჩენები არიან დამარცხებულნი. ისევ რჩება ძალაში ფორმულა: „ვაი დამარცხებულთ". და განა ასეთ ლამონება დამცირებაზე შეიძლება დამყარდეს იდეა ლიგისა და ძმობისა ერთა შორის?

დიახ, დიდი იდეები წამოაყენა ვერსალმა, მაგრამ მათი განხორციელება ისე არ ძალუძს, როგორც სათავეში მოწამლულ წყაროს წმინდა წყლის მოცემა. მისი შემკვიდრეობა მხოლოდ ბერნში დაწყებულ საერთაშორისო კავშირის ძალას შეუძლია.

მიუხედავათ იდეურ ბრძოლისა ბერნი და მხოლოდ ბერნში შეგროვილი ძალები პროლეტარიატისა უნდა გახდენ იმ დიდ იდეების მატარებელნი, რომელსაც ხალხთა სოლიდარობა და საყოველთაო მშვიდობიანობის განხორციელება მოსდევს.

ვერსალის მოღვაწეობა, უკანასკნელი დღეების მწვერვალებს გამოხატულება იმის, რის მოცემაც შეუძლია დღევანდელ ბურჟუაზიულ ურთიერთობას და ბურჟუაზიულ ძალებს. იგი იმ ხაზზე მავიდა, საიდანაც იწყება სულ სხვა სახისა და მიმართულების ძალთა მოქმედება. მან ამოსწურა ყველა შესაძლებლობა დღევანდელი ქვეყნის ბატონების.

შემდეგი ნაბიჯი ეკუთვნის „ბურჟუაზიის მესაფლავეს", რომელიც მის წიაღში გაიზარდა და დავაჟკაცდა. მართალია, ის ამ ოთხი წლის წინათ ერთხელ კიდევ დამარცხდა, მაგრამ ომის საშინელებამ თვით ბრმათაც დაანახვა ის, რაც იმალება დღევანდელი საზოგადოების წიაღში. მუშათა კლასი უკვე ყველგან ერკვევა ომის ბურანიდან, იგი ჯერ კიდევ ერთმანეთში საცსებით ვერ შეთანხმებულა, საერთო ენა ჯერ ვერ მოუნახავს, ფსიხოლოგიურათ ადვილი ასახსნელი ჯავრი და ბოლმა ერთი მეორის შეცდარ ნაბიჯების გამო, ვერ მოუნელებია, მაგრამ ეს პროცესი უკვე სწარმოებს და დიდი სისწრაფითაც სწარმოებს.

მსოფლიო გადატრიალების ხანაში მუშათა კლასი გიგანტიური ნაბიჯით წავა წინ, ზღაპრული სისწრაფით გაიზრდება თვით შეგნებით, და ამით ღირსეული მფლობელი შეიქნება თავის ბედის.

ვერსალი იწყებს დღეს დიდ იდეების აღიარებას, ხვალ ბერნი დაასრულებს მათ განხორციელებას. ასეთია ცხოვრების ულმობელი ლოღიკა. მომავალი ეკუთვნის მუშასა და ინტერნაციონალს.

## პრესა

„საქართველოს" მიმდევრები სოფლათ ათასგვარ ჭორს და ცილისწამებასავრცელებენ ჩვენი პარტიის შესახებ, განსაკუთრებით ჩვენი აგრარული რეფორმის შესახებ. მაგრამ ამასვე ვერ ბედავენ თავის გაზეთში. აი მაგალითათ რას სწერს, „საქართველო" (№ 28):

„ჩვენ რამდენჯერმე აღვნიშნეთ, რომ აგრარული რეფორმა დიდ შემომკრებ ძალათ გადაიქცა დაქსაქსული ქართული პროვინციებისათვის. ჯავახეთის გლეხთა ყრილობამ, რომელიც სამს თებერვალს ახალციხეში შესდგა, დაადასტურა ჩვენი შეხედულება. ჯავახეთში ქართული ელემენტი უფრო მცირე რიცხოვანია, ვიდრე ახალციხისა, არტაანისა და ონისის მხარეში. ამას გარდა ახ ლქალაქს მაზრა ძირეულ სომხის პროვინციებს ეკრავს. ამისდა მიუხედავათ ჯავახეთის გლეხკაცობამ, თავის წარმომადგენლების პირით, თავის თავი, „საქართველოს რესპუბლიკის ღვიძლ შვილად აღიარა და გადასწყვიტა მონაწილეობა მიიღოს საქართველოს დამფუძნებელ კრების არჩევნებში".

მართალია, გაზეთს დაავიწყდა დაემატებია, რომ იმავე ყრილობამ უჩია გლეხებს ხმა მიეცათ სოციალდემოკრატიის სიისათვის, მაგრამ ეს გაზეთს ეპატიება. ხოლო არ ეპატიება ის, რომ ერთი კალმით სწერს აგრარული რეფორმის დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე, ხოლო მეორე კალმით იმავე გაზეთში აცხადებს, სოც. დემ. არცერთი სახელმწ. ფოებრივი ნაბიჯი არ გადაუდგამსო.

დიახ, არ ეპატიება ეს ორპირობა, ეს მიუთმენლობა.. მით უმეტეს არ ეპატიება, როცა პროკლამაციებში ხალხს სოც. დემოკრატიის ისეთ დახასიათებას აწვდის, რომელსაც გაზეთში ვერ გაბედავდა.

ჩვენი ხალხი, ბატონებო, არც ისე უგნურია, რომ ორპირობა და ორჭოფობა თქვენი ვერ შეიგნოს და ვერ დაეფასოს.

* * *

„ჰარაჩს" გადაუბეჭდია „ერთობის" № 27 ნომერში მოთავსებული მოწინავე წერილ შემდეგი შენიშვნით:

„ნაციონალიზმის შხამით დაბრმავებული „ერთობელები" თავიანთ ბრაზს აყრიან თავზე ყველა იმათ, რომელნიც მათებრ არ ფიქრობენ; მაგრამ დღეს არცერთი ჭეშმარიტი დემოკრატი და რევოლუციონერი ამ ინტერნაციონალისტ - შოვინისტებივით აღარ ფიქრობს. ამ საკითხში ჩვენებრ სჯიან „მშაკიც", „Знамя Народа"-ც და „Соц.-дем."-იც.

„მაგრამ ყველაფერი ეს ეხლა არავის არ დაარწმუნებს. ყველა რევოლუციონერები დღეს ზნეობრივ სილას არტყამენ კონტრ-რევოლუციონურ ქართველ მენშევიკებს.

„და ყოველ მხრივ შერცხვენილ გამხდარ ქართველ მენშევიკებს მხოლოდ ერთ რამეში უნდათ ჰპოვონ ნუგეში—მარჯვნივ და მარცხნივ გინებაში. უძლურების და შერცხვენილების ერთად ერთი ლოღიკა და დამტკიცების საბუთი, ეგ უძლური და საცოდავი საშუალებაა".

რას ვწერდით ჩვენ იმ წერილში? სწორეთ იმას, რომ „სოც.-დემ." „მშაკი", „ზნამია" და „ჰარაჩ", ე. ი. ყველა განდგომილნი და საქართველოს მოძულენი ერთ ბანაკში იყრიან თავს და თავს ესხმიან „საქ. სოც. დემ. მუშათა პარტიას", რომ ამით აშკარავდება მათი ანტი-დემოკრატიული სულისკვეთება და ბოროტი ზრახვები.

„ჰარაჩს" კი შეუზადებია საკითხი და ჩვენ გვედავება. რაკი „ზნამიიდან" „სოც.-დემ." და „მშაკიდან" თქვენ გიდავებიან და ჩვენებურ დაშნაკურ კილოზე სწერენ,—ჩანს კარგი სოციალისტები ჩვენ ვყოფილვართ და თქვენ კი ნაციონალისტებიო.

ქალაქის არჩევნებმა უკვე დაამტკიცა, როგორ აფასებს თათრის, სომხის, რუსის ქართველების და საერთოთ ყველა ერის დემოკრატია ამ გათიშულთა მუხანათობას. 400 ჩინოვნიკის ხმა იყო საცოდელი მათი მუხანათობისა და მუშათა უბანში სრული შერცხვენა დაგვირგვინება მათი მოღვაწეობისა.

ცხადია, „ჰარაჩი" ასეთ კამპანიაში თავს კარგათ უნდა გრძნობდეს. ვისაც დემოკრატია თავის წრიდან სდევნის და გადაისვრის, ის „ჰარაჩისთვის" ნამდვილი მეგობარია. მაგრამ ამით ხასიათდება თვით „ჰარაჩის" ბუნება და მართლდება ჩვენი აზრი „ზნამიასა" „მშაკის" და „სოც, დემ." ჯგუფის მოღვაწეობის ობიექტიურ შედეგებზე.

ისინი ერთათ მღერიან და დაშნაკურ წისქვილზე ასხამენ წყალს. ნუ თუ სომეხი სოც. დემ. ამის შემდეგაც ვერ შეიგნებენ, თუ ვის უწყობენ ხელს თავისი უაზრო გამოსვლებით?

მით უარესი მათთვის, თუ ვერ შეიგნებენ. ხალხი მათ კვლავ მიუწყავს 2 თებერვალს განმეორებით.

* * *

„მშაკი" ეხება სომხეთში გამეფებულ შიმშილს და ეძებს ზომებს ამ საშინელი გაჭირვების წინააღმდეგ, რომელიც სრული ფიზიკური განადგურებით ემუქრება მთელ სომხის ხალხს: ასეთ ზომათ მას მიაჩნია პირველ ყოვლისა შეთანხმების სახელმწიფოთა დახმარება.

„უბედურობა ისე დიდია, რომ ჩვენი ყველა ეროვნული საშუალება არ ყოფნის მის მოსასპობლათ დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში. მაშასადამე, სომხეთის ოფიციალური წარმომადგენლების ვალია მიიპყრონ მოკავშირე სახელმწიფოების ყურადღება, რომ, რაც შეიძლება მალე და რეალური დახმარება გაუწიონ, ჩვენ დემოკრატიას, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს დახმარება იმ სახელმწიფოებისაგან, რომელთა მხარეზე იბრძოდა მთელი ომის დროს".

მეორე საშუალებაა სომხის ბურჟუაზიის დახმარება. გაზეთი აღნიშნავს, რომ სომხის ბურჟუაზიამ, განსაკუთრებით თფილისის ბურჟუაზიამ სულ რაღაც ასი მილიონი მან. გაიღო სომხური ეროვნული საბჭოს საჭიროებისთვის, იგიც დიდი ვაივაგლახით. რომ იგი უფრო „გულუხვათ აძლევს დიდძალ ფულს ... ხოლოდ ქართულ მილიციას, თუმცა ამის მოვალე არ არის". ასეთ პირობებში გაზეთს ამ ბურჟუაზიის იმედი არ აქვს:

იგი სწერს:

„არ ვიმედოვნებთ, რომ თფილისის სომეხი ბურჟუაზია შეიგნებს თავის მოვალეობას და დაეხმარება სომხის დემოკრატიას იმ სიმტკიცით, რომელიც შეიძინა ომის დროს, რომელსაც აწარმოებდა ერზინჯანიდან კარაკლისამდე. ეხლა დიდ გაჭირვებაში მყოფი სომხის დემოკრატია".

და გაზეთი ეძებს გზას, საშუალებას

# დ ღ ე ს

**სოჩის ოლქში მოხალისეთა ჯარმა საომარი მოქმედება დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ.**

---

**უკრაინაში რუსეთის საბჭოთა მთავრობას მოლაპარაკება აქვს გამართული უკრაინის დირექტორიასთან.**

---

**ბალშევიკების ცნობით კიევში მყოფი ინგლისის ჯარი სა'ლში დაბრუნებას მოითხოვს, ჯარისკაცები მყიდიან იარაღს და ამუნიციას.**

---

**ბრემენში სპარტაკელების მეთაურობით ჯარის და მუშების ერთი ნაწილი მთავრობის ჯარებს წინააღმდეგობას უწევენ.**

---

**სილეზიის ფრონტზე 7 დღით დროებითი ზავი ჩამოვარდა.**

---

**ჩეხო-სლოვაკების წარმომადგენლებმა დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლების კომიტეტს გააცნეს თავი'ი ქვეყნის მოთხოვნილებები.**

---

ამ ბურჟუაზიის თავის ვალის ასრულებს. და იცით, რა საშუალება ჰპოვეინა ამ კლასობრივი ბრძოლის ერთგულ მოქადაგეს: აი მოისმინეთ?

„ჩვენ მივმართავთ სომხეთის მთავრობას და მოვითხოვთ, რომ მან მიიღოს ყოველივე ზომა, რათა სომეხმა ბურჟუაზიამ ახლავე, სულ მოკლე ხანში, აასრულოს თავის მოვალეობა ხალხის წინაშე ან გამოაცხადოს, რომ ხელს იღებს თავის მოვალეობისაგან.

„ჩვენ მოვითხოვთ კერძოთ სომხეთის სახალხო პარტიისაგან ცენტრალურ კომიტეტისა და მისი ოფიციალური ცენტრალური ორგანოსაგან, რომლებიც ამ კლასის პოლიტიკურ მოთხოვნილების გამომხატველი არიან, წინდაწინვე გამოაცხადონ, რას შვრება მისი საზოგადოებრივი აზრის შემდგენელი მასსა, ჩვენი დემოკრატიის კრიტიკულ მდგომარეობის ჟამს თავისი და თავისი პარტიის არსებობის უფლებების დასამტკიცებლათ.

„ჩვენი ხალხის საშინელ ტანჯვის სახელით ჩვენ მოვითხოვთ სწრაფ პასუხს".

განა შეიძლება სომხეთის მთავრობამ, რომელიც ამ ბურჟუაზიის დაყენებულია და, რომელიც დაშნაკელებისა და სომხის სახალხო პარტიის წევრთაგან შესდგება, ასე გასწიროს თავის მომავლინებელნი?

რა გულუბრყვილო უნდა იყოს სოციალისტი, რომ ასეთ ზნეობრივ და მორალურ მოტივებზე დაამყაროს თავის იმედები!

განა მტკიცება უნდა იმას, რომ სომხის ბურჟუაზიას ისეთივე გული აქვს, როგორც სხვა ერისას? რომ ხალხის ტკივილი არ აწუხებს მას? განსაკუთრებით თფილისის ბურჟუაზიას, რომელიც ოცნებობს არა სომხის ხალხისთვის დახმარებაზე, არამედ—ამ ხალხის ამხედრებაზე მეზობელ რესპუბლიკების წინააღმდეგ. მას სომხის ხალხი საომრ იარაღათ უნდა მეზობელ დემოკრატიის წინააღმდეგ და არა სარჩენათ,

და ამაში მას მხარს უჭერს არა მარტო სახალხო პარტია, არამედ—პირველ ყოვლისა დაშნაკცუტიუნი, რომელიც გაზეთ მხედველობიდან გამოპარვია. „მშაკს" თუ სურს გზა ხსნისა უჩვენოს სომხის ხალხს, მან უნდა შეაგნებინოს დემოკრატიას, რომ საჭიროა არა ბურჟუაზიის და ბურჟუაზიულ პარტიების კუდში ჩანჩალი, და მათ ზნეობაზე დაყრდნობა, არამედ—მათთან სასტიკი ბრძოლა და თავის საკუთარ პარტიის სოციალ-დემოკრატიის გარშემო შემოკრება. როცა ხალხი ამას შეიძლებს, ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, იგი გამონახავს გზას და საშუალებას ფიზიკური განადგურებიდან, გადარჩენისა და კულტურული წარმატებისათვის.

მანამდე კი სომხის მშრომელი ხალხის კლასიური შეგნება და გაცნობიერება, მათი ნაციონალისტური ხაფანგიდან განთავისუფლება, უნდა დაისახოს მიზნათ ყველამ, ვისაც სურს არსებითი და მკვიდრი დახმარება მისცეს სომხის დაჩაგრულ და დაბეჩავებულ დემოკრატიას.

ბურჟუაზია თავისით არ გადადგება „მშაკის" მოწოდებით, არც შერცხვება თავის სიძუნწის, არ შეშფოთდება ხალხის გაჭირვების დანახვით.

იგი თვით ხალხმა უნდა გადააყენოს, შეარცხვინოს, შიშის ზარი დასცეს.

აი ესაა სწორი გზა და გამარჯვებაც მხოლოდ ამ გზით მოსიარულეს შეხვდება, ესაა გზა კლასობრივი ბრძოლისა. მოწყალების თხოვნის დრო წავიდა. დღეს ხალხმა თვით უნდა აიღოს ის, რაც მას ეკუთვნის და ყველას თავის მოვალეობა შეასრულებინოს.

---

# ექსპროპრიაცია თუ კონფისკაცია?

(წერილი კარლ კაუცკისა*).

I

რევოლიუციის მიერ წამოყენებულ მთავრობის წინაშე სდგას ოთხი დიდი ამოცანა: უპირველეს ყოვლისა, ზავის ჩამოგდება და აღდგენა ნორმალური ურთიერთობისა უცხოეთთან. შემდეგ, უზრუნველყოფა ხალხისა სურსათით. მესამეთ, ხელახალი შექმნა სახელმწიფოებრივი აპარატისა იმ ფორმებში, რომლებიც გადააქცევდნენ ამ აპარატს საშუალებათ წარმოების სოციალისტური პროცესის განხორციელებისათვის და, ბოლოს—ცხოვრება გარდამავალ მეურნეობისა; ამ გარდამავალ მეურნეობას კი თავის მხრივ, აქვს ორგვარი ხასიათი—ერთის მხრივ იგულისხმება გადასვლა სამხედრო დროის მეურნეობისა სამშვიდობო დროისაზე და მეორეს მხრივ—გადასვლა კაპიტალისტური მეურნეობისა სოციალისტურში.

ბევრი რევოლიუციონერი წინ-მდებარე ამოცანათა ამგვარ ფორმულიროვკას უარჰყოფს, როგორც „ფილისტერულს" ან და თითქმის, როგორც „ბურჟუაზიულს" და მოითხოვენ, რომ ჩვენ ვამოძრაოთ რევოლიუცია სულ წინ და წინ.

სავსებით გარკვეული არ არის, თუ როგორ უნდა გვესმოდეს ჩვენ ეს მრავალმნიშვნელოვანი გამოთქმა. იგულისხმება თუ არა სიტყვა „რევოლიუცია" იმ აზრით, რომ ეხლანდელი მთავრობა უნდა ჩამოგდებულ იქნეს? ვინ უნდა ჩამოაგდოს ის და ვინ უნდა დადგეს მის ალაგზე? ეხლანდელი მთავრობა შემდგარია ორივე დიდი პარტიის მიერ, რომლებზედაც იყოფა გერმანული სოციალიზმი. ჩვენ აქ არ გვინდა შევეხოთ იმ კითხვას, თუ ვინ იყო გამომწვევი რასკოლისა. მაგრამ, რომ ეს რასკოლი მეტისმეტათ ასუსტებს გერმანიის პროლეტარიატს სწორეთ იმ მომენტში, როდესაც მან უნდა მოიკრიფოს მთელი თავისი ძალ-ღონე, რომ განამტკიცოს თავისი უფლება—ამაზე ვერ დაიწყებს დავას ვერც ერთი მოფიქრებული ადამიანი, რომელ მხარესაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის.

ორივე ფრაქციათა თანამშრომლობა, ეჭვი არაა, არ წარმოადგენს, მაინც და მაინც იდეალურ მდგომარეობას მაგრამ ეს ერთადერთი მდგომარეობაა, რომელიც არსებულ პირობებში სოციალისტურ მთავრობას აძლევს შესაძლებლობას, რომ იარსებოს. ყოველგვარი ცდა მთავრობის დასამხობათ, რომელიც შექმნილია ამგვარი კომპრომისით, იქნება პროლეტარიატის ერთი ნაწილის დაპირდაპირება მეორის წინააღმდეგ, ეს გარემოება კი წაართმევს პროლეტარიატს ბრძოლის უნარს და მით უზრუნველჰყოფს კონტრ-რევოლიუციის გამარჯვებას.

სწორეთ ასევე 1794 წელში შეტაკებამ იუბერსა, დანტონსა და რობესპიერს შორის წინასწარ გადასწყვიტა მათის პარტიის დაღუპვა, რასაც შედეგად მოჰყვა ბურჟუაზიის ბატონობა.

მაგრამ შეიძლება გვესმოდეს რევოლიუციის გაგრძელების მოთხოვნილება სხვაგვარ, თანამედროვე მთავრობის არა საწინააღმდეგო აზრითაც.

რასაკვირველია, აუცილებლივ დამღუპველი იქნებოდა ის, რომ მუშათა მასსებს ეფიქრათ, რომ ეხლა უკვე ყველაფერი რიგზეა და ყველაფერზე მარტო მთავრობა იზრუნებს.

მაგრამ სრულიად უსაფუძვლოა შიში იმაზე, თითქოს მუშათა მასსები ისევ უდარდელ ძილს მიეცემიან. თუ ისინი ამას განიზრახავენ კიდეც, ჩვენი მტრები ამაში ხელს შეუშლიან. როგორც კი გადაივლის პირველი შიში, ისინი ისევ დაირაზმებიან და ამოძრავდებიან, რომ გამარჯვება თავის მიზნებისათვის გამოიყენონ. ამაში მათ არც კია საჭირო, რომ ხელი შეუშალოთ.

მაგრამ ეს უნდა იყვეს ჩვენთვის დამაფიქრებელ გაფრთხილებად, რომელიც გვაიძულებს მათ აქტიობას, მათ აგიტაციურ და ორგანიზაციულ მუშაობას დაუპირდაპიროთ ჩვენი მუშაობა და ვისარგებლოთ რა იმ ამოძრავებით, რომელსაც განიცდიან ეხლა ხალხის ფართო მასსები, მოვიმხროთ ისინი ჩვენ მხარეზე.

მთელი პროლეტარიატი, წვრილი ბურჟუაზიის და ინტელიგენციის ფართე წრეები დაინტერესებულნი არიან სოციალიზმში. ერთად ერთი მოვლენა, რომელიც მათ ჩვენთან შემოერთებას აფერხებდა, იყო ეჭვი ჩვენ ძლიერებაში. მათ ხმა მისცეს ცენტრს, თავისუფალ მოაზროვნეებს, ნაციონალ-ლიბერალებს, კონსერვატორებს არა იმიტომ, რომ მათ მოსწონდათ ამ უკანასკნელთა პროგრამა, არამედ იმიტომ, რომ მათ სწამდათ ამ უკანასკნელთა ძალა.

ეხლა ჩვენ ავიღეთ ძალა უფლება და ამის გამოისობით ბევრს თვალთაგან თვალსახვევი ჩამოუვარდა. ეხლა მათ სწამთ ჩვენი და მუშაობენ ჩვენთან, თუ ჩვენ მათ ვაძლევთ საშუალებას მიიღონ მუშაობაში მონაწილეობა.

სწორედ იმიტომ, რომ რწმენას ჩვენს ძლიერებაში ამდენ შეუგნებელ პირთათვის, რომლებიც ეკუთვნიან ხალხის მდაბიო წრეებს, აქვს გადამჭრელი მნიშვნელობა, მე ვერ ვხედავ დამფუძნებელი კრების მოწვევის გადადებაში იმისთანა უპირატესობას, როგორსაც ხედავენ ამაში მრავალნი ჩემი მეგობრები: ჯერ კიდევ საეჭვოა რწმენა ჩვენ ძლიერებაში გაძლიერდება თუ არა ხანგრძლივი ცდის გამო? იგი შესაძლებელია უფრო შემცირდეს, როგორც კი ჩვენი მოწინააღმდეგენი დაიწყებენ იმ სიმდაბლისაგან გამოსწორებას, რომელიც მათ დაემართათ ამ არ ნახული დამარცხების გამო. გადადების მომხრეთ იმედი აქვთ იმ ხილული, ცხადი გაკვეთილებისა, რომლებითაც ჩვენ მივცემთ მასსებს პრაქტიკულ სოციალიზმის საშუალებით. მაგრამ სასწაულების მოხდენა ჩვენ არ შეგვიძლიან. რა გინდ ჩქარა არ უნდა ვანხორციელებდეთ წარმოების ნაციონალიზაციას, მასსის კეთილდღეობის საკმაო გამოსწორება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მოვახერხებთ თანდათანობითი ნაციონალიზაციის შემდეგ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების აწევას. ეს კი შეიძლება გაგრძელდეს ერთიდან ორ წლამდე, და ეს მაშინ, როცა სწორეთ შეუგნებელი ნაწილი მასსისა, რომლის ჩვენთან ყოფნაზედაც არის აქ ლაპარაკი, მოელის სოციალიზმიდან ამ ქვეყანაზე დაუყონებლივ სამოთხის დამყარებას.

ჩვენ ვერ დაუცდით იმდენ ხანს დამფუძნებელი კრების მოწვევას, რამდენი ხანიც დასჭირდება სოციალიზმს, რომ მოიმხროს თავის მხარეზე მერყევი ელემენტი, თავისი გამარჯვებების გავლენით.

მეორეს მხრივ სრულიად გაუგებარია ჩემს თვის შიში იმისა, თითქოს ჩვენ დავიღუპებით რა დღესაც გამოვალთ ჩვენი პროგრამით ხალხის მასსების წინაშე. მე მტკიცედ მწამს მისი ძლიერება, უკანასკნელი ოთხი წლის საშინელი გაკვეთილების შემდეგ. ცდის პოლიტიკის გამოისობით ეს სახელოვანი ძალა კი არ გაძლიერდება, არამედ უფრო შემცირდება, რადგანაც შეიქმნება შთაბეჭდილება ჩვენი მერყეობისა, ერთ ალაგას გაუჩერებლობისა, სიმდაბლისა, საკუთარ ძალებში რწმენის უქონლობისა და ეს კი ყველაზე ცუდი მოვლენაა სწორედ იმ დროს, როცა საჭიროა გაუზიდავი, მერყევი ელემენტების თავის მხარეზე მომხრობა. ზოგიერთ ამხანაგებსურთ მოიწვიონ დამფუძნებელი კრება იმის შემდეგ, როცა გატარებული იქნება სოციალისტური ზომები. მაგრამ, როგორ გატარდება ისინი ძველი სახელმწიფოებრივი აპარატის საშუალებით? და როგორ შეიძლება შეიცვალოს ეს სახელმწიფოებრივი აპარატი ძირიან-ბუდიანათ და თანაბრად მთელ სახელმწიფოსთვის, თუ მოწვეულ არ იქნა დამფუძნებელი საერთო ყრილობა?

ასე მაგალითად პირველად უნდა გამოიცეს კანონი ნახშირის მადნეულობის ნაციონალიზაციის შესახებ. როგორ გავატაროთ ეს ნაციონალიზაცია მანამდე, სანამ არ არის მოგვარებული დამოკიდებულებანი პრუსიასა და მთელ შეკავშირებულ სახელმწიფოებს შორის? არსებული მდგომარეობა კი შეუწყნარებელია. სანახშირო მადნები უნდა გადავიდნენ მთელი გერმანიის მფლობელობაში, პრუსიის სახელმწიფოს არ ძალუძს მარტო სარგებლობდეს იმით. და მეორეს მხრივ, როგორ მოხერხდება ნაციონალიზაცია ლიპიე დეტმალდისა?

როგორიღა მდგომარეობაშია წყლის ძალების ნაციონალიზაცია? უნდა ეკუთვნოდენ ისინი ცალ ცალკე სახელმწიფოებს, თუ მთელ გერმანეთს? ამ გვარად, სანამ სხვადასხვა წარმოებათა გასახელმწიფოებრივობას შევუდგებოდეთ—საქმეზე და არა მარტო დეკრეტით—აუცილებლივ საჭიროა საფუძველი ჩაუყაროთ ახალ სახელმწიფოს. ჯერ რომ წარმოებათა გასახელმწიფოებრივობისაკენ მივისწრაფოდეთ და შემდეგ კი დავიწყოთ თვით ამ სახელმწიფოს შენება—ეს შეედრებოდა სახლის შენების სახურავიდან დაწყებას.

ჩვენი სახელმწიფოს რამოდენიმე წყეული მამების და მათ წინაშე ჩვენი ბურჟუაზიის ძაღლური ლაქუცის გამო, ჩვენ შეძლება არ გვქონდა ბურჟუაზიის ბატონობის დროს აგვეშენებინა გერმანიაში თანამედროვე ერთიანი სახელმწიფო. აი, ამიტომ ჩვენ ჯერ კიდევ გვჭირია გადავსწვეტოთ ფეოდალური ნაგავი, რომ პირდაპირ და მთლიანად შევუდგეთ საზოგადოების სოციალიზაციის საქმეს, მანამ ჩვენ დამფუძნებელი კრება გვექნებოდეს.

რასაკვირველია, შესაძლებელია და საჭიროაცაა ბევრი რამ ეხლავე გაკეთდეს დაუბრკოლებლივ, მაგრამ, სანამ გადაჭრით შევუდგებოდეთ ძირითად რეფორმების ცხოვრებაში გატარებას, ამას წინ უნდა უძღოდეს შეცვლა სახელმწიფოებრივი წყობილებისა. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკად გახდომა შეუძლებელია დაუთანაბრდეს მხოლოდ რამოდენიმე დინასტიის მოსპობას.

ეს გადასხვაფერება უნდა მისწვდეს მთელი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის ყველა მხარეს. ეს კი მიღწეულ იქნება მხოლოდ და მხოლოდ დამფუძნებელი საერო კრების საშუალებით.

---

*) დაბეჭდილი იყო ყოველკვირეულ ჟურნალში „Der sozialist" 22 ნოემბერს, 1918 წ.

# მოხალისეთა არმიის ვერაგული თავდასხმა

გენერალმა კონიაშვილმა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა სოჭის ოლქში მ. ხოჭოლავამ პირდაპირი მავთულით სოჭიდან 6 თებ. მთავრობას შემდეგი შეატყობინეს:

**ხოჭოლავა:** „როცა მე თქვენ გატყობინებდით სომხეთის მცხოვრებლებთან შეტაკების შესახებ, მე გაცნობებდით, რომ ქართველ და სომხებ შორის მუშაობს რაღაც ბოროტი ხელი, რომელიც სთესს პროვოკაციას. პროვოკაცია მოხერხდა... ჩვენ ვსდგევართ მომხდარ ფაქტის წინაშე: დღეს დილით 4 საათზე ყოველი მხრიდან თავს დაგვე ხნენ „მოხალისენი" და „ბანდები", ჯერ დაიკავეს სადგური ლაი, გაანადგურეს იქ ჩვენი სადარაჯო რაზმი, ხოლო ნაწილი ტყვეთ წაიყვანეს. გაჩქარებულნი მოვიდნენ ინსტიტუტამდე. შუადღის შემდეგ, შორი-ახლოს სოჭიდან გამოჩნდენ მოხალისენი, სომხების შეიარაღებული ბანდები, რომელთაც,როგორც ეტყობათ ღამით მოუწყვიათ შემოვლა. ჩემ მიერ გამოწვეული გენერალი კონიაშვილი და პოლკ. წერეთელი სოჭაში შემოსვლისთანავე ძლიერ ცეცხლში მოხვდნენ. ჩვენმა არტილერიამ, რომელმაც არ იცოდა თუ რა ბედი ეწვია კონიაშვილს, სროლა აუტეხა მოხალისეთ, რომელთაც ქალაქის მაღლობები დაეკავებიათ. ქალაქში თოფების სროლა გაჩაღდა, ჩვენი არტილერიაც განაგრძობდა სროლას, ჩვენის მხრივ სროლა შეჩერდა, როგორც კი თეთრი ბაირაღი დავინახეთ. დელეგაცია „მოხალისეთაგან" წამოვიდა თეთრი ბაირაღით ჩვენსკენ, რომელიც მე მივიღე. დელეგატებმა დაგვიწყეს ლაპარაკი კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გათავების და სროლის შეჩერების შესახებ. მე დავთანხმდი მხოლოდ იმ პირობით, თუ გენ. კონიაშვილი და პოლკ. წერეთელი და პეტრიაშვილი დაუყონებლივ იქნებოდენ განთავისუფლებულნი, რადგანაც, მე ვამბობდი, რომ ამისთანა დიდი საკითხის შესახებ მოლაპარაკება იყო საჭირო ჯარების უფროსთან. ჩემი მოთხოვნილება შესრულებულ იქნა საჩქარო მოლაპარაკების და ბრძოლის წინასწარი შეჩერების შემდეგ. გენ. კონიაშვილი თვით წავიდა მოსალაპარაკებლად „მოხალისეთა" ჯარების ხელმძღვანელთან გენ. ბურნევიჩთან. მოხალისეთა ჯარები დაგომისის მხრიდან უკვე მოდიოდენ სოჭისკენ, თანახმად წინასწარი შეთანხმებისა გენ. კონიაშვილმა შემდეგი კითხვები მისცა „მოხალისეთა" ჯარების სარდალს გენ. ბურნევიჩს: 1) გამოცხადებული არის თუ არა ომი მოხალისეთა ჯარის მიერ საქართველოს წინააღმდეგ? 2) თანახმა არის თუ არა მოწინააღმდეგე მხარე შეაჩეროს საომარი მოქმედება და გაჩერდეს იმ ხაზზე, რომელიც მას უკანასკნელ ჟამს ეკავა? 3) ჩვენ უნდა მოგვეცეს საშუალება დაველაპარაკოთ მთავრობას და შევატყობინოთ საქმის გარემოება. ამის საპასუხოდ გენ. კონიაშვილს გადაეცა შემდეგი შინაარსის ულტიმატუმი: „გენერალ კონიაშვილს. მე მივიღე ბრძანება ჩემი მთავრობის მიერ დავიკავო სოჭის ოლქი იმ ძარცვა-გლეჯისა და ძალმომრეობის გამო, რომელიც არსებობს ხსენებულ ოლქში. ამიტომ, სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად წინადადებას გაძლევთ დაჰყაროთ იარაღი და ჩაგვაბაროთ მთელი სამხედრო მასალა. ყველა ქართველნი მეომრები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები იარაღის ჩაბარების შემდეგ განთავისუფლებულ იქნებიან და შეუძლიანთ წავიდნენ საქართველოში. იარაღის ჩაბარება უნდა მოხდეს 1919 წელს 24 იანვრის ღამის 12 საათამდე. № 157. ტუაპსის რაზმის უფროსი გენ.-მაიორი ბურნევიჩი. რაზმის უფროსის მოვალეობის ამსრულებელი პოლკ. ეფრემოვი. გადაცემულია 24 იანვარს, 1919 წ. 17-ს. პოლკ. ეფრემოვი.

**P. S.** თუ იარაღს დროზე არ ჩამაბარებთ ჯარებს სოჩისაკენ დავსძრავ. გენ.-მ. ბურნევიჩი. გენ. კონიაშვილმა ამ ულტიმატუმზე პასუხი იქ, პოზიციაზე, არ გასცა, სანამ ჩემთან არ ითათბირა, იგი მოვიდა ჩემთან ამ ულტიმატუმით და მოიყვანა ორი პოლკოვნიკი ფოსტოვი და ეფრემოვი. მე ვერ დავეთანხმე მიმეღო რაიმე გადაწყვეტილება, ვიდრე ჩემს მთავრობას არ მოველაპარაკებოდი მავთულით. ჩემს მოთხოვნილებას ვასაბუთებდი მით, რომ მე და გენ. კონიაშვილს შეგვეძლო პასუხი გვეგო მხოლოდ ჩვენდამი დაქვემდებარებულ პირებისა, ხოლო მცხოვრებთა მოქმედების შესახებ, პასუხს ვერ ვაგებდით. ჩემთან კი ნახევარი საათით ადრე, ვიდრე ულტიმატუმს მივიღებდით, მოვიდა დელეგაცია საზოგადო დაწესებულებათა და წინადადება მომცა იარაღით გავსულიყავ მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ. ამასთანავე განაცხადეს, რომ ცოცხალნი მათ არ დანებდებოდნენ. დემოკრატიის ერთსულოვანი შეიარაღება მე დილიდანვე ვიცოდი. ამიტომ მე მოვსთხოვე მოხალისეთა ჯარის გენერალს, მოეცა საშუალება მიმეღო დირექტივები ჩემი მთავრობისაგან. ველი თქვენგან გარკვეულ დირექტივებს.

**გენ. კონიაშვილი:** სოჭი ძლიერი სროლის შემდეგ გარშემორტყმული აღმოჩნდა: ზურგში „მოხალისეებმა" გადაგვიჭრეს ჩვენ გზა დიდი რაზმებით და დაიკავეს მაღლობები, მდგომარეობა მძიმეა. ფრონტზე უკვე ბევრია მოკლული და დაჭრილი ხოსტაში, მოხალისეებმა ჩვენ ზურგში დესანტი გადმოსხეს. ზღვაზე სდგას ნაღმის მსროლელი და ელის ნიშნის ჩვენებას. მოვითხოვ თქვენ კატეგორიულ ბრძანებას".

ამ ცნობის საპასუხოდ საქართველოს მთავრობამ სათანადო დირექტივები გაუგზავნა. პირდაპირი მავთულით ლაპარაკი სოჩასთან გრძელდებოდა თებერვლის 3 დღ. შემდეგ კავშირი შესწყდა. ამ ცნობის მიღებისთანავე, გარეშე საქმეთა მინისტრმა ეს ამბავი შეატყობინა ინგლისის მისიას.

მისიამ მაშინათვე გაუგზავნა დეპეშა მოხალისეთა არმიის გენერალს და მოსთხოვა დაუყონებლივ საომარი მოქმედებების შეწყვეტა.

---

**მოქალაქენო!**

**დაშნაკცუტიუნის პარტია ებრძვის საქართველოს დამოუკიდებლობას და მით ძირს უთხრის რევოლიუციას.**

**არც ერთი ხმა დაშნაკცუტიუნის პარტიას.**

**ყველა ხმა რევოლიუციისა და დემოკრატიის მესვეურს სოციალდემოკრატიულ პარტიას № 1.**

---

# არჩევნების შედეგი

## თ ფ ი ლ ი ს ი

(შთაბეჭდილებანი).

არ შემიძლია არ გადავცე მკითხველს ის შთაბეჭდილება და ზოგიერთი შემთხვევები, რომელიც მე მივიღე არჩევნების დღეს ყუთებთან.

აგერ, შემოდის ერთი შუა ხნის, ფართუკაფარებული მუშა, მას ხელში კონვერტი უჭირავს. თავმჯდომარემ მას მიმართა, რომ კონვერტი ყუთში ჩაეგდო. ეს ამომრჩეველი მას ეჭვის თვალით უყურებს სხვა ყუთში არ ჩამაგდებინოსო. იგი უკან იწევს და კითხულობს, რომელია პირველი ნომრის ყუთი, მე იქ უნდა ჩავაგდო კონვერტიო.

აგერ, შემოდის შავ-შალიანი, საშუალო ტანის დიდაკაცი; სიბერე სწევსოდა, სათვალეები ჰქონდა გაკეთებული: შვილებო, აი, ხომ ჰხედავთ, ძლივს მოვედი ყუთთან, მაგრამ ამას ვინ სჩივის, ოღონდ პირველმა ნომერმა გაიმარჯვოს და...

ეს სიტყვები ყუთთან მდგომ სხვა პარტიის წარმომადგენლებს, რასაკვირველია, არ ეჭაშნიკათ.

მეორე დღეს—ხმები უნდა დათვლილიყო. ყველა პარტიის წარმომადგენელი გამოცხადდა. თავმჯდომარემ კონვერტების გახსნა დაიწყო: ოო, დაიწყო—სთქვა ერთმა და კონვერტიდან ქათქათა, წითლად მოელვარე პირველი ნომერი გადმოვარდა, ამას თან მოჰყვა კიდევ მრავალი პირველი ნომრები. სხვა ნომრები ძალიან ზანტათ, დროგამოშვებით ჩნდებიან.

აგერ ერთ პირველ ნომერს მეორე გვერდზე რაღაც წარწერა ჰქონდა: „საჭიროა ქალაქის გამგეობამ ყურადღება მიაქციოს ღარიბთა უბნებს, ქუჩებს, ბინებს და სხვ,"... და ქვემ გვარიც მოეწერა.

ერთ ბიულეტენზე ასეთი წარწერა იყო: „მე ღრმათა მრწამს სოციალ-დემოკრატიის გამარჯვება, რომელმაც ჩვენი ხალხი იხსნა ათასგვარ ბოროტებისა და განადგურებისაგან. ამიტომ მე მას ვაძლევ ხმას: გაუმარჯოს ნოე ჟორდანიას".

რამდენად სასიხარულოა ამგვარი წარწერების წაკითხვა, რითაც სოციალ-დემოკრატიას ნდობას უცხადებენ, იმდენათ სამწუხაროც არის, როცა ამას ბიულეტენზე კითხულობ, რომლებსაც იღებ საარჩევნო ყუთებიდან. ამგვარი წარწერებით ბიულეტენს ძალა აღარ აქვთ—ხმა დაკარგულია...

ამომრჩეველი, რომელიც სულით და გულით სოციალ-დემოკრატიის მომხრეა, ცდილობს მის გამარჯვებას, არაფერს არ ზოგავს ამისთვის, ასეთი წარწერით ხმას უკარგავს პარტიას,—აი, რა არის სამწუხარო!

ამიტომ, სხვათა შორის, არ შეიძლება არჩევნების ამ მხარის უყურადღებოთ დატოვება.

უნდა ავუხსნათ ჩვენს ამომრჩევლებს, თუ როგორ უნდა იქნას მიცემული ხმა. თუ ეს შეგნებული ექნება ყველა ჩვენს მომხრე—ამომრჩეველს, ახლანდელ არჩევნებში დაკარგულ ხმათა რიცხვი არც ისე მცირედი იქნება.

**მიხ. თამაზაშვილი.**

---

**რუსული „სოციალდემოკრატის" ჩივილი.**

სასტიკად დამარცხდა თფილისის საქალაქო არჩევნებში ამ გაზეთის გარშემო შემოკრებილი ჯგუფი.

არჩევნების დაწყებამდე ამ ჯგუფმა არშაკ ზურაბოვის პირით ტრაბახით ყურები გამოგვიჭედა—რაც ვართ ჩვენ, რუსეთის სოც.-დემ. ვართ, თქვენ, საქართველოს სოციალ-დემოკრატია რანი ხართ!

ახლაც ამავე შინაარსის ტრაბახს განაგრძობენ „სოციალ-დემოკრატში".

მართალია, მხოლოდ ერთი ხმოსანი გავი-

ღრმად დამწუხრებულნი შვილი ევლამპია პანტელიმონის ასული წულაძისა, სიძე აპოლონ წულაძე შვილებით: ბიძინა, ნინა, გივი და კაცურა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველი დედის, მეორე სიდედრის, მესამენნი ძვირფასი ბებიის

**მალა ივანეს ასულის კალანდაძის**

გარდაცვალებას. დასაფლავება დღეს, 8 თებ. დ. ხიდისთავში (გურია).

---

ყვანეთ, მაგრამ ეს არის მუშების ხმებით გაყვანილი კანდიდატიო.

ჩვენ ვიცით, რომ იმ 440 ხმაში, რომელიც რუსეთელებმა მიიღეს მუშათა უბნებში მიღებული ხმა ერთ ათეულს არ აღემატება.

მაგრამ ამისთვის ახსნაც მზათ აქვთ მათ.

ტერორი გაამეფეს ყველგან ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა;

ჩვენს გაზეთს არ უშვებდენ ქარხნებშიო.

დიდ „შანტაჟს" და „მაშენიკობას" ჰქონდა ადგილიო და სხვ.

ეს არის ამ ხალხის ჩივილი. დასკვნა კი თავდება თავხედურათ, ისე, როგორც ეს შეშვენის არშაკ ზურაბოვის კომპანიას.

„ეს 440 ხმა იმ მუშების ხმაა, რომელთაც ინტერნაციონალური დროშა შეუბღალავათ გაატარეს შოვინისტურ ატმოსფერაში. ქალაქის საბჭოში იქნება ერთი წარმომადგენელი, მაგრამ ხმა მუშათა კლასის ერთად ერთი წარმომადგენლისა გაისმის ძლიერათ და მხნეთ და გაერთიანებული 89 ნაციონალისტის ვერავითარი ცდა ვერ ჩაახშობს მას".

ასე რომ, მხოლოდ ერთი კაცი იქნება საბჭოში მუშების ჭეშმარიტი წარმომადგენელი და ისიც ზურაბოვ-ეპშტეინ პოპოვის ჯგუფიდან.

სხვა „სიკეთესთან" ერთად ამ ხალხს ოხუნჯობაც კარგად შესძლებია!..

## ახალი ამბები

**სოციალ-დემოკრატიული ფრაქციების კრება.** დღეს, საღამოს 7 საათზე ზუბალაშვილის სახლში დანიშნულია მუშათა დეპუტატების საბჭოს, ქალაქის საბჭოს, რკინის გზის კომიტეტის და პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს სოც. დემოკრატიული ფრაქციების შეერთებული კრება.

◆ **მილიციის რევიზია.** მილიციის სარევიზიო კომისიის დადგენილებით სამსახურიდან დაითხოვეს სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწე მამულაიშვილი.

◆ **დამფუძნებელი კრების არჩევნები ქალაქში.** 6 თებერვალს საქალაქო დამფუძნებელი კრების არჩევნების კომისია შეუდგა საარჩევნო ბარათების დარიგებას. ფოსტალიონებმა უნდა დაურიგონ მოქალაქეებს 11 თებერვლამდე ეს ბარათები. ყველა ჩაუბარებელი ბარათები განაწილდება რაიონულ უბნებს შორის. მორიგეობა რაიონებში არის 8 ს. 9 საათამდე. ცენტრალური კომისიის დადგენილებით კონვერტები ჯერ არ დაურიგდებათ ამომრჩევლებს. ყოველი ამომრჩეველი მათ მიიღებს არჩევნების დღეს როცა საარჩევნო ყუთთან მივა.

◆ **პარტიათა საყურადღებოთ, რომელთაც საკანდიდატო სიები წააყენეს.** ბიულეტენების მიღება შეიძლება საქალაქო დამფუძნებელ კრების არჩევნების კომისიაში: ქალაქის გამგეობაში და საბჭოს კანცელარიაში.

◆ **კავკასიის სამეურნეო საზოგადოების** კრება შესდგება დღეს, 8 თებერვალს, საღამოს 7 საათზე. განსახილველია საკითხი საზოგადოების რეორგანიზაციისა და მოხსენება თფილისის საბაღოსნო სკოლის შესახებ.

◆ **მთავრობამ დაადგინა:** 1) ომის საჭიროებისათვის შემოწირული ფული, სადაც კი იგი არსებობს ამ ჟამად, შეტანილ იქნას სახელმწიფო ხაზინაში. 2) თუ შემოწირულება სახელობითია, იგი უნდა გადაეცეს დანიშნულებისამებრ; 3) შემოწირული თანხიდან სამხედრო მინისტრის განკარგულებაში გადაიდის 50,000 მანეთი, დახმარების აღმოსაჩენად ომში დაღუპულთა, დაშავებულთა და მათი ოჯახებისათვის, იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული დახმარება სასწრაფო იქნება და დახანებას არ მოითხოვს.

◆ **გაძარცვა.** 6 თებერვალს, ნ. ოჰანეზოვის ბინიდან რამოდენიმე შეიარაღებულმა ბოროტ განმზრახველებმა წაიღეს 7,600 მან. ღირებული ნივთები და მიიმალენ.

◆ **ახალგაზრდა მარქსისტთა შორის.** კვირას, დილის 10 საათზე, ახალგაზრდა მარქსისტთა თფილისის კომიტეტი მეოთხე რაიონის ბინაზე (ოლღას ქ. 29) მართავს ლექციას შემდეგ თემაზე: „უთანხმოება სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში" (გაზ. სოციალ დემოკრატის" ჯგუფი). ლექციას წაიკითხავს ამხ. ს. მიხელიძე. ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი. შესვლა ყველასათვის 1 მანეთი. მოწვეულია მოწინააღმდეგე ჯგუფების წარმომადგენელნი.

◆ **სახალხო კინემატოგრაფი.** კვირას, თებერვლის 9 ს, საღამოს 4 საათზე ქალთა მე 7 დე გიმნაზიაში (ყოფილ ქალთა ინსტიტუტის შენობაში) გაიმართება სახალხო კინემატოგრაფი. ფასები 1 მან. 2 მან. 3 მან.

◆ **გუნდის ტანისამოსის დაკარგვა.** ბათუმიდან დაბრუნებულმა მ. კავსაძის მომღერალთა გუნდმა გზაში საბარგო ვაგონიდან ნატანებამდე დაიკარგა 9 ცალი ქართული ჩოხა-ჯა. მპოვნელს ვთხოვ მოგვიტანონ ქართულ სათავადაზნაურო ბანკში კავსაძესთან.

◆ **საქართველოს რესპუბლიკის ექიმთა კავშირის** გამგეობა სთხოვს რესპუბლიკაში მცხოვრებ ექიმთ ჩაეწერონ კავშირის წევრად. საწევრო ფული—30 მან. წელიწადში, შეიძლება გამოიგზავნოს შემდეგი მისამართებით: 1) კავშ. თავმჯდომარეს ი. ელიაშვილს. (საბიორნის ქუჩა, № 11). 2) თავმჯდომარის ამხ. ა. მალაღაშვილს ყორღანოვის ქ., № 12). 3) კავშირის მდივანს ი. ლომოურს (ქსენიას ქუჩა, № 10).

◆ **ქურდობა.** 6 თებერვალს ღამით, ალიხანოვის ბინიდან, ნიკოლაევის ქუჩა № 64, ბოროტგანზრახველებმა მოიპარეს 42000 მანეთის ფული და ძვირფასი ნივთები.

◆ **საბურთალოს კომისარმა** აღმოაჩინა დიდი ბოროტ-მოქმედება მოსამსახურეებისა საბურთალოს ტყის „ზასტავაზე". დამნაშავენი ვლადიმერ მზარეულაშვილი, მამედ ორუჯ-ოღლი და მილიციონერი ნიკოლაი კანდელაკი არიან შეპყრობილნი.

**კ რ ე ბ ე ბ ი**

დღეს, საღამოს 5 საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მე 8, მე 9, მე-10 უბნების საარჩევნო კომისიებისა და მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა შეერთებული კრება.

— კვირას, 9 თებერვალს, დილის 10 საათზე წ. კ. გ. საზოგადოების ბინაზე (სასახლის ქუჩა), დანიშნულია აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის მთავარი გამგეობის მორიგი სხდომა.

— ხვალ, 9 თებერვალს, დილის 10 საათზე მე-4 რაიონის ბიუროს ბინაში, ოლღას ქუჩა № 29, დანიშნულია ახალგაზრდა მარქსისტთა თფილისის კომიტეტის წევრთა კრება.

## დამფუძნებელი კრების გარშემო

### საარჩევნო კამპანია სოფლად.

დამფუძნებელი კრება,—ეს საოცნებო საგანი ყოველი ჭეშმარიტი დემოკრატისა, საქართველოში დღეს ხორციელდება.

14 თებერვლის არჩევნებმა უნდა მოგვცეს ნამდვილი პატრონი საქართველოს რესპუბლიკისა.

ჩვენ გავუდექით ალბულაღის (ბელიკლიუჩი) რაიონში.

დღევანდელ პირობებში მეტად ძნელია ამ რაიონში მუშაობა, მიტომ, რომ აქ ცხოვრობენ სხვა და სხვა ერები: რუსები, სომხები, ბერძნები, ნემცები. აქვეა დაშნაკელების მიერ მოტყუებული გადმოხვეწილები, რომელთა სარჩო-საბადებელი ომის ცეცხლმა შთანთქა.

ხალხი მოწამლულია პროვოკატორული ხმებით. ქართველები სომხებს აღარ ენდობიან, ბერძნები უიმედონი არიან, რუსები ურწმუნო თომათ გადაქცეულან.

სოფ. კოდაში ქართველ-სომხები ცხოვრობენ. 16 იანვარს გავმართეთ პირველი მიტინგი. ხალხში უცბათ გაქრა ერთმანეთის უნდობლობა და შიში. ყველა ქუდ-მოგლეჯილი გამორბის მიტინგზე. ყველა ქართულად ლაპარაკობს. ვერ გაარჩევ ქართველს სომხისაგან. ავუხსენით ხალხს, რომ მათ გასაყოფი არაფერი აქვთ; გაუმარჯოს მუშათა პარტიასო, იგრიალა ხალხმა. უნდა გენახათ გლეხების სახე და მხოლოდ მაშინ მიხვდებოდით, რა მოაქვს მათთვის სოც.-დემოკრატიას, მის მიერ ხალხში ინტერნაციონალური სულის შეტანას. ხალხი გამოუთქმელი სიხარულით ფიცს სდებდა, რომ ის არ მოტყუვდებოდა, როგორც ეს წარსულში მოუვიდა—(დაშნაკელებისთვის მიეცა ხმა ზოგიერთებს) და უეჭველათ სოც.-დემოკრატიას მისცემს ხმას.

არჩეულ იქნა საარჩევნო კომისია და გარდა ამისა, დაარსებულ იქნა სოც.-დემოკრატიული წრე.

ასურეთში მეორე დღეს მოვახდინეთ ნემცების კრილობა, ადგილობრივ მასწავლებლის პავლე ბიულის თავმჯდომარეობით.

მოხსენების შემდეგ ერთხმათ იქნა გამოტანილი რეზოლიუცია, რომ ისინი მხარს დაუჭერენ სოც. დემოკრატებს ისე, როგორც რუსეთის დამფუძნებელ კრებაში.

ბელიკლიუჩი მთლათ რუსებით არის დასახლებული. აქა იქ სომხებიც ცხოვრობენ.

მოვიწვიეთ კრება. მეინტერესებოდა მენახა ვინმე მოწინააღმდეგეთაგანი. როგორც იქნა, ვიპოვნე დეპოს მუშა სელიხოვი. მან მითხრა, რომ ის მენშევიკების პარტიაში იყო მუდამ, მხოლოდ შემდეგ საქართველოს გამოყოფისა, ის გაბოლშევიკდა. „ეხლა კი, როცა ვუცქერი ბოლშევიკების მოძრაობას რუსეთში, აღარ თანაუგრძნობ მათო". მოვიწვიეთ ორი-სამი პ.რი. მუსაიფიდან გამოირკვა, რომ რუსობა მთლად მინდობილია თავიანთ ნაციონალურ საბჭოზე და მის დაუკითხავად არ გადასდგამენ არც ერთ ნაბიჯს. ბოლომდე მოისმინეს სიტყვა.

სოფელი ივანოვკა 60 კომლიანია, ცხოვრობენ ბერძნები. შევეცადეთ რუსულად გაგვერკვია მათთვის ყველა საკითხები. სიტყვის დასრულების შემდეგ ბერძნებმა აღტაცებით მიიღეს მუშათა პარტიის მოწოდება; დღეს ჩვენ სხვა პატრონი არავინა გვყავს და მაშ, ვიღას მივენდოთ თუ არ მუშათა პარტიასო.

სოფ. ირაგაც ბერძნების სოფელია, ცხოვრობს 95 კომლამდე. თითქმის ყველა ბერძენი ხელოსანი—ქვის მთლელია. ვინაიდან დღეს ხელოსნების მოთხოვნილება აღარ არის, ყველა სახლშია, ხალხი საერთოდ დიდ გაჭირვებას განიცდის. სოფელს სახნავი მიწები არა აქვს. სკოლის შენობაში გავმართეთ კრება. შევეხეთ დღევანდელ ვითარებას, არჩევნებს, გავურკვიეთ მოკლეთ სოც.-დემოკრატიული პროგრამა. ყველას მოეწონა ჩვენი პოზიცია მიწის საკითხში. რუსეთის დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს ელინთა საბჭოსაგან რჩევა მივიღეთ ხმა მიგვეცა სოც.-დემოკრატიისთვის, მით უფრო ეხლა, სხვას ვიღას მივსცემთ ხმას, თუ არ სოც. დემ. პარტიასო. შევადგინეთ პატარა წრე—კომისია ადგილობრივ მასწავლებლის თეოდორე ქსიფილინოს თავმჯდომარეობით. ის განათლებული კაცია, ლაპარაკობს ბერძნულათ და ფრანგულათ, რუსული ცოტა იცის.

ალექსეევკაში 22 კომლი მცხოვრებია, ყველა რუსები არიან, ბელიკლიუჩიდან გადასახლებულნი სახელმწიფო მიწაზე.

დუმანისში ოსები სცხოვრობენ. სულ 50 კომლი. თაიროვისგან უყიდნიათ მიწა და დასახლებულან. ერთი ადამიანიც არ მოიპოვება მათში მცოდნე წერა-კითხვისა.

სიტყვის გათავების შემდეგ მთხოვეს დამეწერა ჩვენი პარტიის სახელი ქაღალდზე და დამეტოვებინა, რომ არავის შეეყვანა შეცდომაში და სხვა პარტიისთვის არ მიეცათ ხმა.

სამშვილდო გაშენებულია მდინარე ხრამს აქეთ, სადაც იბრძოდა ჩვენი ჯარი და გვარდია. სცხოვრობენ სომხები, სულ სოფელში 170 კომლამდე ითვლება. სცხოვრობენ სახელმწიფოსაგან ნაყიდ მიწაზე. ეს სოფელი გადარჩენია ომის ცეცხლს.

გავაცანით ჩვენი მთავრობის პოლიტიკა. გლეხების დიდი ნაწილი თანაგრძნობით შეგვხვდა, მხოლოდ იყვნენ აქა იქ პირები, რომლებიც იდგნენ განზე და რაღაცას ჩურჩულებდნენ.

ათანასე ქვათაძე.

---

**მოქალაქენო!**

**ომიანობის ხანაში თითქმის მთელი ქვეყანა დაიმშა. კერძოთ რუსეთში შიმშილმა დიდძალი ხალხი იმსხვერპლა. სოციალდემოკრატიამ იხსნა საქართველოს მცხოვრებნი დამშევისაგან.**

**ხმა მიეცით სოც. დემოკრატიის სიას № 1.**

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

**7 თებერვალი.**

### ფრანგული პრესის ცნობები.

ჩეხო-სლოვაკთა დელეგატებმა კრამარჟმა და ბენესმა დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელთა კომიტეტს ოთხშაბათს გააცნეს თავის ქვეყნების მოთხოვნილებანი. ბენესმა გააკეთა ისტორიული მიმოხილვა ჩეხო-სლოვაკიისა. მან აღნიშნა, რომ მიუხედავათ გერმანელთა და უნგრელთა მხრით დევნა-შევიწროებისა ეს ხალხი სათავეში ჩაუდგა ავსტრიის სლავიანურ ერებს ინტელექტუალურათ, ეკონომიურათ და სოციალისტურათ. დასასრულ დელეგატმა იხთოვა: 1) ახალი რესპუბლიკის ტერიტორიაში შევიდეს: ბოჰემია, მორავია, სილეზია, სლოვაკია, უნგრეთის ის ნაწილი, სადაც რუსინები სცხოვრობენ, გლაზეტის და დემალაბორის ოლქები და დასასრულ?? (გაუგებარია) ადგილები, სადაც ჩეხო-სლოვაკები სცხოვრობენ; 2) დამყარდეს საერთაშორისო საზღვარი ჩეხო სლოვაკებსა და სამხრეთის სლავიანებს შორის; 3) დიდი მდინარეები ებრო, დუნაი და ვისლა, აგრეთვე რკინის გზები პრესბურგ-ტრიესტი, პრესბურგ ფიუმე, პრაგა-ერფურტი, ნიურნბერგ-სტრასბურგი ინტერნაციონალურად გამოცხადდეს; 4) ვენაში მცხოვრებ ჩეხო-სლოვაკთა, რომელნიც ქალაქის მცხოვრებთა მეოთხე ნაწილს შეადგენენ, და საქსონიაში მცხოვრებ სერბიელთა საკითხი გადასწყდეს შეთანხმების სახელმწიფოთა პრინციპების თანახმათ. ჩეხო-სლოვაკთა განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევენ ქ. პ. პრესბურგის, სლოვაკიის ძველ დედაქალაქის მათ ხელში გადასვლის და დუნაის, რომელიც საშუალებას მისცემს მას გაუმკლავდეს გერმანელთა გავლენას, იქონიოს თავისუფალი გასავალი ზღვისკენ და ცენტრალურ ევროპის მშვიდობიან ერებთან, სამხრეთ სლოვიანებსა და რუმინელებთან განამტკიცოს კავშირი.

სკოლშიდან იუწყებიან, რომ 5 თებერვალს სილეზიის ფრონტზე 7 დღით ჩამოაგდეს დროებითი ზავი. ორივე მხარის ჯარი დარჩება იმ პოზიციებზე, რომელიც 22 იანვარს ეჭირათ. ჯარების მიერ დაჭერილ ტერიტორიაზე რკინის გზით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ ორივე ერის დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

### გაზეთების ცნობები.

**მოსკოვი.** ნაუენი. 4 თებ. ცენტრალურმა მთავრობამ უბრძანა გერსტენბერგის დივიზიას ბრემენში შესვლა, რადგან ბრემენის მთავრობამ არ მიიღო ცენტრ. მთავრობის დადგენილება. გამბურგის 7000 მუშამ განაცხადა, რომ მზათ არიან შეებრძოლონ გერსტენბერგის დივიზიას. 4 თებერ. ღამით გერსტენბერგის დივიზიამ ბრემენს ალყა შემოარტყა. ბრემენის სპარტაკ., რომლებსაც ნავთსადგურის მუშები ეხმარებოდნენ, ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს დივიზიას, მა რამ იძულებული გახდნენ ვეზერის მარცხენა ნაპირისაკენ დაეხიათ. **ბერლინი.** 4 თებ. გაიხსნა საარმიო კორპუსების საბჭოების თათბირი. თათბირის მიზანია სამხედრო მინისტრის ჯარის სარდლობის შესახებ ბრძანების გარჩევა. მე-9 საარმიო კორპუსის წარმომადგენელი კიცხავს ნოსკეს მოქმედებას ბრემენის მიმართ. გამოიტანეს რეზოლიუცია, სადაც უნდობლობა გამოეცხადა ნოსკეს და შეიდემანს. გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ცენტრალურმა საბჭომ განცხადებით მიმართა ნაციონალურ ყრილობას, რომ მან მომავალ კონსტიტუციაში შეიტანოს და იცნოს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ მიზანი ნაციონალურ ყრილობისა არის გერმანიაში პოლიტიკური და ეკონომიური დამოკიდებულების აღორძინება და გერმანიის ახალი ტერიტორიალური დაყოფა. **ბერლინი,** 3 თებ. ამსტერდამიდან იუწყებიან, რომ მდ თემზის შესართავთან გაიფიცა გემის 1000 მუშა. ამსტერდამის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. **ბრემენი.** 5 თებერვალი. გაზეთი „კომუნისტი" იუწყება, რომ დიუსელდორფში დაიხურა ყველა ბურჟუაზიული გაზეთები, მოელიან ინგლისელთა ჯარს ქალაქში შესიერების აღსადგენათ. **ბელირნი.** 3 თებერვალი. ბერნიდან იუწყებიან, რომ საფრანგეთის მთავრობამ ისპანიის დელეგაცია არ დაუშვა ბერნში სოციალისტურ კონფერენციაზე. დელეგაციის წევრები იყვნენ: ფაბრა და რიბემრი. დელეგაცია დააკავეს ისპანია-საფრანგეთის საზღვარზე. **ხარკოვი.** 5 თებ. პალიტინა გამოცხადდა ებრაელთა სახელმწიფოთ. სტამბოლიდან ადესაში იუწყებიან, რომ არაბეთის და სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოები იცნეს მოკავშირეებმა. მოკავშირეთა დადგენილი მოთხოვნით რუსეთის სომხეთის ნაწილი, რომელიც წინათ გამოიყო ოსმალეთის სომხეთს, ისევ უკანასკნელს შეუერთდა. **მემელი.** 2 თებ. ბრესლავში დამფუძნებელი კრების არჩევნების დღეს არეულობა მოხდა. მეზღვაურთა და ჯარისკაცთა ხელმძღვანელობით ბრბომ დემოკრატიული პარტიის ბიურო გაანადგურა. **ბრემენი.** 1 თებერვალი. გაზეთი „კომუნისტი" იუწყება: კელნში ინგლისელთა ჯარი მოითხოვს შინ დაბრუნებას. ყიდიან ამუნაციას და იარაღს. ვაახენში ბელგიელების ჯარი, რომელიც ძარცვა გლეჯას მისდევდა, შესცვალეს საფრანგეთის ჯარით. საარბრიუკენში საფრანგეთის ჯარმა შინ დაბრუნება მოითხოვა. ჰამბურგში მუშებმა და მეზღვაურებმა დემონსტრაცია მოახდინეს. ისინი ხელფასის მომატებას მოითხოვენ. დაადგინეს ჰამბურგის ნავთსადგურიდან არ გაუშვან არც ერთი გემი. **ნაუენი.** თებერვლის 5. ჰამბურგელთა დამცველ რაზმის 1,500 კაცმა ვერ შესძლო ბრემენში წასვლა სპარტაკელების დასახმარებლათ, რადგან რკინის გზაზე მოძრაობა შეწყვეტილი იყო. **კარნაფონი.** თებერვლის 5. კოპენგაგენიდან იუწყებიან, რომ თებერვლის 4 ბრემენთან ბრძოლა შესწყდა და დაიწყო საზავო მოლაპარაკება, რომელიც სალამოთი შესწყდა. მთავრობის ჯარმა ბრძანება მიიღო აიღოს ქალაქი. ეიზენახსა და გოტადან შეიარაღებული სპარტაკელები ბრემენის დასახმარებლად მიდიან. ბერლინიდან იუწყებიან, რომ მთავრობის ჯარმა ბრემენის თვითმართველობის შენობა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა ერთი ნაწილი დაიჭირა. სპარტაკელები უკან იხევენ. **ხარკოვი.** თებერვლის 5. უკრაინის საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარემ რაკოვსკიმ ჩიჩერინს შეატყობინა უკრაინის საბჭოთა მთავრობის დადგენილება: რადგანაც აშკარა გახდა უკრაინის საბჭოთა მთავრობის გამარჯვება უკრაინაში, ის იღებს რუსეთის მთავრობის წინადადებას დირექტორიასთან მოლაპარაკების დაწყების შესახებ. მოლაპარაკება ხარკოვში უნდა გაიმართოს. **ბერლინი.** თებ. 1. გერმანულ ავსტრიის დამფუძნებელ კრების არჩევნები თებერვლის 16-თვისაა დანიშნული, ხოლო დამფუძნებელი კრება თებერვლის 20 შეიკრიბება.

## ს.-დემ. პარტიაში

**ლანჩხუთი.** 12 დეკემბერს 1918 წ. ლანჩხუთში ადგილობრივი სოც.-დემ. ორგანიზაციის ინიციატივით და თაოსნობით მოეწყო სახალხო გვარდიელთა დღესასწაული, რომელიც ჩინებულათ ჩატარდა. წმინდა შემოსავალი 2751 მან. და 89 კაპ. გადაეცა სახალხო გვარდიის ადგილობრივ შტაბს. სათანადო კვიტანცია ინახება ადგილობრივ სოც. დემ. კოლექტივის არხივში. X.

## მუშათა შორის

**თფილისი.** 26 იანვარს შესდგა რკინის გზის პურის გამომცხობ და გამყიდავ მუშანოქართა კრება, რომელსაც დაესწრო 48 კაცი.

კრებამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1) რკინის გზის მუშების პროფესიონალურ კავშირის წინადადება მათ კავშირში გადასვლის შესახებ. 2) რკინის გზის მუშების პროფესიონალურ კავშირის მიერ საწევრო გადასახადის გამორიცხვის შესახებ. 3) დათხოვნილ ამხანაგების: ნადირაძის, მაისურაძის, სალოიანცის და ქურდევანიძის შესახებ. 4) შტატების შემოკლების გამო დათხოვნილ მუშების დაკმაყოფილების შესახებ. 5) ახალ გამგის კომახიძის ყოფაქცევის შესახებ. 6) კოლექტივის ხელშეკრულების შეკვრის შესახებ. 7) ჯამაგირების გადიდების შესახებ. 8) კვირა უქმე დღეობით მომუშავე პურის გამყიდავების ჯამაგირის მიცემის შესახებ. 9) პურის „провѣсъ"-ის ნორმის შემცირების შესახებ. 10) ფრონტზედ გაწვეულ და დაბრუნებულ მუშების ნახევარ ჯამაგირის მიცემის შესახებ. 11) სექციის ახალ ბიუროს წევრების არჩევის შესახებ.

პირველ კითხვის შესახებ ამხ. მილორავამ მოახსენა კრებას იმ წინადადების შინაარსი, რომელიც მოუციათ რკინის გზის მუშების პროფესიონალურ კავშირს პურის გამომცხობ მუშებისთვის. კრებამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ დაადგინა: ვიღებთ რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ რკინის გზის მუშების და მოსამსახურეების პროფესიონალური კავშირი არის კავშირი ჩვენი მამუშავებლების და მოსალოდნელია აქ ორი ინტერესის შეხვედრა, დავრჩეთ სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეების კავშირის წევრებათ.

მეორე კითხვის შესახებ კრებამ მოისმინა მოხსენება, რომლიდანაც სჩანს, რომ მუშებს ჯამაგირებიდან გამოურიცხავთ 1%, რკინის გზის მუშების პროფესიონალურ კავშირის სასარგებლოთ, 1% სახალხო გვარდიის სასარგებლოთ, და 1 პროც. კულტურულ-განმანათლებელ მიზნებისთვის.

კრებამ იქონია მსჯელობა პროფესიონალურ კავშირის სასარგებლოთ გამორიცხულ 1 პრ. შესახებ და დაადგინა უკან მოეთხოვოს ეს 1 პროც., ვინაიდან პურის გამომცხობ გამყიდავი მუშები არიან წევრები სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეების კავშირის, სადაც ყოველთვე იხდიან 1 პროც. გადასახადს.

მესამე კითხვის შესახებ კრებას მოხსენდა, რომ მას შემდეგ, რაც საქმის სათავეში მოექცა ახალი გამგე—კომახიძე, მან მოსთხოვა პურის გამყიდავ—„კასირშებს" „ზალოგი" 2000 მანეთი და, რადგანაც ეს ორი ათასი მანეთი ვერ შეიტანეს: ნადირაძემ, მაისურაძემ და ქურდევანიძემ, ისინი საქმიდან გადაყენებულ იქმნენ. ამათ გარდა დათხოვნილ იქმნა მუშა სალოიანცი შტატების შემოკლების გამო.

კრებამ დაადგინა: ვცნობთ რა პრინციპიალურათ შეუწყნარებელს პროფესიონალურ კავშირის წევრებისგან „ზალოგის" მოთხოვნას, წინადადება მიეცეს სასურსათო კომისიას, რომ საქმიდან გადაყენებულნი იქმნენ უკან მიღებულნი. რაც შეეხება კასის სიმთელის გარანტიის კითხვას, მოწვეულ იქმნენ სასურსათო კომისიის წარმომადგენელნი ჩვენ პროფესიონალურ კავშირის გამგეობის კრებაზედ, სადაც გამონახავენ სათანადო ზომას.

მეოთხე კითხვის შესახებ კრებამ დაადგინა: შტატების შემოკლების შემთხვევებში, დათხოვნილნი მუშები, ვიდრე შეკრული იქნება კოლლექტიური ხელშეკრულება, უნდა იქმნენ დაკმაყოფილებულნი ცენტრალურ კომიტეტის ნორმების და 14 იანვრის დეკრეტის თანახმათ.

მეხუთე კითხვაზე კრებამ მოისმინა მოხსენება ახალ გამგის, კომახიძის, შესახებ. გამოირკვა, რომ ის უდიერათ ეპყრობა მუშებს, ყოველნაირ შეურაცხყოფას აყენებს და 26 იანვარს რევოლვერსაც კი მიმართა მუშა ტურაძის საქმიდან მოშორებისთვის. კრებამ ამაზე ხანგრძლივი მსჯელობა იქონია და ერთხმად დაადგინა, რომ მოეთხოვოს სასურსათო კომისიას, რათა მან ორი დღის განმავლობაში მოაშოროს ეს ახლათ მოვლენილი გამგე და დანიშნულ იქნას სხვა. თუ რომ ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლათ მუშები იძულებულნი იქნებიან შესწყვიტონ მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობა, მიმართონ ამ ზომასაც.

მეექვსე კითხვის შესახებ კრებამ აირჩია კომისია, რომელშიაც შევიდნენ ამხანაგები: პ. ხელაძე, ჭიჭინაძე, მილორავა, აბრამაშვილი და ატოევი. ამ კომისიას დაევალა შეიმუშაოს კოლექტიური ხელშეკრულობის პროექტი და წარუდგინოს საზოგადო კრებას. მეშვიდე კითხვა—ჯამაგირების მომატების შესახებ კრებამ მოხსნა, ვინაიდან ეს კითხვა იქნება გადაჭრილი საერთოდ ყველა რკ. გზის მუშებისთვის. მერვე კითხვის შესახებ კრებამ დაადგინა, რომ მოეთხოვოს სასურსათო კომისიას, რომ კვირა უქმე დღეობით მომუშავე პურის გამყიდველებს და კასირშებს მიეცეს დაწესებული ხელფასი. მეცხრე კითხვის შესახებ კრებას მოხსენდა, რომ ახალი გამგის მიღებამდის არსებობდა წესი, რომლის თანახმათ პურის გამყიდავებს ეძლეოდათ ფუთზე ნახევარი გირვანქა—სკიდკა. ახალმა გამგემ ეს ნორმა შეამოკლა 10 პროც. კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ წინანდელი ნორმა იყო მიზანშეწონილი და მისი შემოკლების შედეგი ის იქნება, რომ გამყიდველებიდან ზოგიერთნი ეცდებიან გაატანონ მომხმარებლებს წონაზე ნაკლები, რათა გაამართლონ ახალი ნორმა. რომ ამას ადგილი არ ჰქონდეს მოეთხოვოს სასურსათო კომისიას, რომ წინანდელი ნორმა აღდგენილ იქნას. მე 10 კითხვის შესახებ დაევალა კავშირის გამგეობის მდივანს, რომ ის შეეკითხოს შრომის სამინისტროს იმის შესახებ, თუ რანაირად უნდა იქნენ დაკმაყოფილებული ფრონტზე გაწვეული ამხანაგები, და ამის თანახმათ მოეთხოვოს მუშების დაკმაყოფილება. მე-11 კითხვის შესახებ კრებამ დაადგინა გაადიდოს ბიუროს შემადგენლობა და ხუთის მაგიერ არჩეულ იქნას 7 ახალი წევრი. არჩეულ იქნენ: დოლიძე, აბრამაშვილი, მილორავა, ჭიჭინაძე, ფილიშვილი, კერესელიძე და ხელაძე. კანდიდატებათ: გოგიაშვილი, ბლიაძე, დაისი და მაისურაძე.

მდივანი ნ. ა.

# პროვინცია

**ნაფარეული.** (თელ. მაზ.). აქ შესდგა დამფ. კრების 4 კომისია. ერთი სარაიონო და სამი სასოფლო: ნაფარეულის, ართანის და სანიორის; მიუხედავათ იმისა, რომ ეს კუთხე ძლიერ ჩამორჩენილია, დამფუძნებელ კრების არჩევნებს ყველანი თანაუგრძნობს და იმედია, რომ მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ. დაარსდა პარტიული ორგანიზაციებიც, როგორც სასოფლო, ისე სარაიონო. სხვა პარტიები აქ არ არსებობს. თითო ოროლა აქ მცხოვრები თავადები ყოველგვარ პროვოკაციებს ავრცელებენ ხალხში. უნდათ როგორმე მთავრობის ნდობა დასცენ ხალხის თვალში და ამის გამო ყოველგვარ სისაძაგლეში სდებენ ბრალს სოციალდემოკრატიას. ისინი არწმუნებენ გლეხობას, რომ თითქო ს. დ. აძარცვებდეს ხალხს და უსაზღვროებენ იმითი, რომ სატყეო მასალაზე ბეგრებს აძლევინებენ და ფოლას კრეფენო, ამბობენ ისინი. ამ დიდი გადასახადებით სურთ ს. დ. თქვენი გაპროლეტარებაო და სხვა მრავალი. სხვათა შორის, ერთი ყოფილი თავადი სოფ. ართანაში იქამდინაც კი წათამამებულა, რომ შეკრებილ ხალხისთვის ხმა მაღლა დაუყვირია: სოციალდემოკრატიამ და მისმა მთავრობამ დაგვღუპა ჩვენ, ერთი სოციალდემოკრატი აქა გვყავს და ის მაინც ღირსეულად დავსაჯოთო, და სახელი და გვარიც დაუსახელებია იმ ამხანაგის. მთელმა სასოფლოდ ხალხმა კარგად იცის ვინ არის მტერი და მოყვარე და არც არავინ უჯერით მათ, გარდა ორიოდ გზააბნეული მასწავლებლისა.

კულტურულად ეს კუთხე ძლიერ ჩამორჩენილია. არ არის გზები, ხიდები დანგრეულია, დიდი ხნიდან მიტოვებულია შკოლები. ერთი სიტყვით, ეს კუთხე ყველასაგან მიტოვებულ მოძულებულია და თავისუფლად თარეშობენ ბოროტი სულები. ხალხის უმეტესობა შესჩვევია ზედმეტ ღვინოსა და არაყის სმას და თუ ვინმე ჩვენი შემთხვევით ხელში ჩაუვარდათ, საყვედურებს დაუწყებენ: რათ დაგვტოვეთ, გვინახულეთ ხშირათ, ჩვენი თავადების გულის მოსაკლავათ, თორემ ჩვენ ხმა ვერ ამოგვიღიაო და სხვა. აქ ნიადაგი საუკეთოა, სამკალი ბევრია, მომკელი კი არავინ არის. ამ მდგომარეობას ყურადღება უნდა მიექცეს. საერთოდ კი ხალხი სულით ძლიერ ამაღლებულა და ნდობითა და დიდის ყურადღებით შეჰყურებენ, როგორც მთავრობას, ისე ჩვენს პარტიას. როგორც აქვე დავრწმუნდი, ეს უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ, როგორც ვიცით, ხალხს უყვარს ძლიერი მთავრობა. რაკი ჩვენმა მთავრობამ ზედიზედ რამდენიმე გამარჯვებები იგემა და მუხანათურათ თავდამსხმელი მტრები—ბოლშევიკებიდან დაწყებული ვიდრე ერევნის ავანტიურისტებამდე—ყველანი სამარცხვინოთ დაამარცხა.

აი მთავარი მიზეზი ჩვენი კახელი გლეხობის გამოფხიზლების და წინმსვლელობის. მეორე საგულისხმო მოვლენა გლეხობისათვის მოხდა მაშინ, როდესაც ბ-ნი მაღლაკელიძე (გუბ.-გუბ.) შეუდგა თელავის მაზრის გაწმენდას ეგრედ წოდებულ „ტყის ძმებისაგან", ამ შემთხვევაზე და ტყის ძმების ცხოვრებაზე მრავალი ლეგენდებია შექმნილი ხალხში და ერთის დაკვრით ბ-ნ მაღლაკელიძის მიერ თელავის ყაჩაღების განადგურება, სწორეთ, რომ უჩვეულო განცვიფრებას იწვევს ხალხში და მთავრობის პრესტიჟს ამაღლებას ხელი შეუწყო. მე მგონია, საქმე ისეა, რომ ბ-ნ მაღლაკელიძეს ერთხელ კიდევ მოუწევს აქეთ ამოსვლა იმავე მიზნით, ვინაიდან ყაჩაღობა ისევ იკიდებს ფეხს.

—გია.

# წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშვალებით გამოვაცხადო შემდეგი:

26 იანვარს სახელოსნო სასწავლებლის შენობაში მეოთხე სამილიციო უბანში მცხოვრებელ პარტიის წევრთა კრება იყო. კრების დროს მე შემეკითხენ—როგორ და რათ შემიტანა სიაში რუსულ სოც. დემ. ჯგუფმა. მე ეს თავად ნათლად აუხსენი ამხანაგებს, რომელიც იყო მოთავსებული გაზეთ „ერთობაში" 1 თებერვლის ნომერში. აი, ასე იყო ის, რაც მე მოვახსენე კრებას:

ამხანაგებო, მე თქვენს წინაშე ვაღიარე, რაც შეცდომა იყო. ეხლა მე გარწმუნებთ, რომ მე არავითარი საერთო იმათთან არა მაქვს. არც ვიცი მათი ჯგუფი, არც მათი ფიზიანომია და არც კრება. თუ ამხანაგები დარწმუნდე იან და არ აჰყვებიან იმათ დემაგოგიას, დღეიდან არ დასაშვები შეცდომა აღარ განმეორდება, რადგანაც ჩემს სიცოცხლეში ეს ერთი შემთხვევა მქონია, ეს უკვე თქვენ იცით, ამხანაგებო, ვინც მე პირადათ მიცნობთ, მოგმართავთ გაზეთის საშვალებით ნურაფერს ნუ დაიჯერებთ გარდა იმისა, რაც იყო. ეს იყო უკანასკნელი. ამ შეცდომის გასწორება იმავე დღეს მოხდა—ოთხი საათის განმავლობაში. ეს იყო თავი და ბოლო. დარწმუნდით, ამხანაგებო, რომ მე თქვენთან ვარ.

დ. კოჭლამაზაშვილი.

ღია წერილი თფილისის სამაზრო ერობის სასანიტარო ექიმს ბ-ნ ლომაურს.

„ერთობის" მე-18 №-ში ამა წლის 24 იანვრის თარიღით მოთავსებული იყო თქვენი წერილი, სადაც სხვათა შორის აღნიშნული იყო, რომ ქალაქ ხაშურში ერთ-ერთ ექიმს ავათმყოფ დეპოს მუშისაგან ერთ ღამეს მორიგეობისთვის აუღია 1200 მ. გასამჯელო. ხაშურის ქალაქის გამგეობა გთხოვთ გვაცნობოთ სახელი და გვარი ექიმისაც და მუშისაც, რათა შესაფერი ზომები იქნას მიღებული ასეთ მოვლენის წინაღმდეგ, თუ მართლა მას ადგილი ჰქონდა.

ხაშურის ქალაქის გამგეობა.

# თეატრი და მუსიკა

დღეს დიმიტრი არაყიშვილის პატივსაცემად სახელმწიფო თეატრში მიდის „თქმულება შოთა რუსთაველზე", ოპერა დ. არაყიშვილისა, პოემა ი. მჭედლიშვილისა. შინაარსი პოემისა შემდეგია:

ვიდრე შოთა ბიზანტიაში წავიდოდა სასწავლებლად, უყვარდა ერთი ღარიბი ოჯახის ქალი ნინო. ხოლო სწავლული რომ დაბრუნდა, შეუყვარდა შეძლებულ ოჯახის ქალი და ჯვარი დაიწერა. მისი სახელი გულჩინა.

შოთას ჰყავდა მსახური არაბი, რომელიც შეუყვარდა გულჩინას და, როცა ერთხელ შოთა თამარ-დედოფალმა სანადიროდ მიიწვია, გულჩინამ თავი მოიავადმყოფა და არ გაჰყვა შოთას ნადირზე. შოთამაც ვერ უარჰყო დაპატიჟება თამარისა, რადგანაც იქ უნდა, სხვათა შორის, წაეკითხა „ვეფხვის ტყაოსანი".

ნადიმობაა თამარის დარბაზში. შოთა სწუხს გულჩინაზე; ხოლო გულჩინა სიყვარულს ეფიცება შოთას ბაღში მსახურ არაბს; ამ სურათს თვალს მოჰკრავს ნინო, პირველი სატრფო შოთასი, გადაიცვამს მწყემსურად და შეატყობინებს შოთას ნადიმზე.

შოთა წაჰყვება მწყემსსა და, როცა მწყემსი უჩვენებს შოთას ღალატის სურათს, შოთა ეშმაკს უწოდებს მწყემსსა და უნდა ხანჯლით განგმიროს, მაგრამ ამ დროს იცნობს შოთა პირველ სატრფოს ნინოსა და ხანჯალი ხელიდან გაუვარდება. შოთა მიდის, მიდის მონასტერში ბერად აღსაკვეცად. ნინო აიღებს შოთას ხანჯალს და მიაძახებს: მე იმითიც ბედნიერი ვარ, რომ შოთას ხანჯლით მოვკვდებით და მოიკლავს თავს.

# განცხადებანი

ექიმი

## ნ. გ. გეგეჭკორი

სპეციალურად—ბავშვთა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, ყირიმის (?) ქუჩა № 10. მიღება საღამ. 5—7 საათ. ტელეფ. 17—68

გაიხსნა თვალის საავადმყოფო (მუდმივი საწოლებით)

## ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ექიმი

## ვ. ნ. ჩუპრინინი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე 1—3 საათამდე. მისამართი: ნაძალადევი. ბასსეინის ქ., № 30.

ექიმი

## დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ექიმი გ. ა. ზაფრანი.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

## გ. გ. მებრაგიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92

ექიმი ქალი

## ე. ს. პარუკეს — ბებურიშვილი

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 12—2 საღამოს 4—6 საათ. იძლევა საბებიო დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

ვი ქალი

## ვ ა ი ნ ი

იღებს სპეციალურად საბებიო და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოს 3—6 საათ. მისამართი: სუდებნაია, 33 ეზოში.

ექიმი

## ანასტია ლვოვიჩი-ორლოვსკი

მიიღებს შინაგან სნეულებიან და ბავშვების ავადმყოფებს. სპეციალურად მალარიის (ციებ-ბის) წამლობა. ყოველ დღე დილის 12—2 ს. და საღამოს 6—7.

ქსენიევის ქ. № 9, ტელ. 12—88. (25—5)

## ა. ნ. შატილოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი ქალი

## რ. ბ. შიშლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი დ. ი. ზაზაძე

წიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1½ საათამდე, საღამოს 5—6 ს. მაღაროვის ქ. № 7. [illegible] ტელეფონი 16—65.

გაიხსნილია

## კერძო სამკურნალო

მუდმივი საწოლებით.

მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.

მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914" და „606" შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

ექიმი

## ი. გ. კონიევი

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ვერა ვარდის უბნის ქ № 3.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე

## მ ა ხ ვ ი ლ ა ძ ე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხახვლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, შემილის ბეღურაქის ახლოს.

ექიმი

## კ ე კ ე ლ ი ა

იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 საასტუმრო „ნოეს" პირდაპირ. ტელ. 14—28.

კბილის საექიმო კაბინეტები

თედორე სამსონის ძე ცხომელიძისა

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბაზრობის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 18—35.

კვირას, თებერვ. 9-ს საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტის ბინაზე (გოლოვინის პრ., № 24) დანიშნულია კომიტეტის წევრთა

## საზოგადო კრება

განსახილველია: 1) მეომართა დამხმარე კომიტეტის მოღვაწეობის მოკლე ანგარიში, 2) ომში დაღუპულ და დასახიჩრებულ მეომართა ოჯახების დამხმარე საზ. წესდების პროექტი, 3) მიმდინარე საკითხები. (2—1)

**მე-4 რაიონული კოლექტივი** და 1, 2, 3 და 13 უბნების საარჩ. კომისიები კვირას, 9 იანვარს, საღ. 5 საათზე, ს. ს. დ. მ. პ. მეოთხე რაიონული კოლექტივის ბინაზე (ოლღას 29) დანიშნულია ამავე რაიონის პარტიის წევრთა

## საზოგადო კრება

დღის წესრიგი: 1) საარჩევნო მუშაობა, 2) მიმდინარე კითხვები. კრებაზე დასწრება სავალდებულოა, როგორც პარტიის წევრთა, ისე ყველა უბნების საარჩევნო კომისიებისა და ქალაქის არჩევნებში ყველა მომუშავეთათვის.

(2—1) მე 4 რაიონული კოლექტივი და საარჩევნო კომისიები.

## პ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი

სახ. სახ. არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ, კვირას, 9 თებერვალს, 1919 წ. წარმოდგენილი იქნება

## „იმედის" დაღუპვა

დრამა ოთხ მოქმედებად, ჰაერმანისა, თარგმანი დ. მესხისა.

მონაწილეობენ: ქ. ქ. ს. ანკარა, ე. ბარათაშვილი, თ. გოგოლაშვილი, ე. იანქოშვილი, ქ ნ. ქილარჯიშვილი, ჭაფარიძე; ბ ბ. ნ. გოცირიძე, დ. ბაქრაძე, ორჯონიკიძე, ი. მინდიაშვილი, ა. მეტრეველი, ი. რომანიშვილი, ა. თადდგირიძე, ა. იეგრელი, ნ. ჭანკვეტაძე, სალაყაია.

რეჟისორი ივ. ბარველი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

შემდეგი წარმოდგენა 13 თებერვალს. (2—1)

## განცხადება

გვაქვს დამზადებული საუკეთესო ფეჰკის ყ ა ვ ა რ ი (драпъ). იყიდება ზომიერ ფასებში; სიგძე 2 არშინი, განი 6 ვერშოკამდე. ნიმუშები ქ. ახალ-სენაკში ვანო ჩხიკვიშვილთან, საკუთარი სახელოსნო ახალ სენაკშივე მდინარე ტეხურის პირად.

პატივისცემით რეჟინი პეტრეს ძე ჩიქვანია და არსენი ჩაგუს ძე ფარცხალავა. 1—1

## დასურათებული საყმაწვილო ყოველთვიური ჟურნალი

1919 წლ. **ნაკადული** წელიწადი მეთხუთმეტე

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით მცირეწლოვანთა და მოზრდილთათვის თვეში ერთჯერ, მცირეწლოვანთათვის 48 გვერდ. და მოზრდილთათვის 64 გვ. ფასი ჟურნალისა ერთი წლით ორივე გამოცემა—55 მან. ცალ-ცალკე 30 მან. ჟურნალი ქაღალდისა და ბეჭდვის სიძვირის გამო დაიბეჭდება განსაზღვრული რიცხვი და მსურველთ-ვსთხოვთ დროით დაიკვეთონ. ხელის მოწერა მიიღება „ნაკადულის" რედაქციაში, თფილისი გოლოვინის და დავითის ქ. კუთხე 8—2 ს. შესასვლელი დავითის ქ. № 2.

## ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო თ ე ა ტ რ ი

საოპერო დასი ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

შაბათს, 8 თებერვალს დიმიტრი ეგნატეს ძე არაყიშვილის 15 წლის სამუსიკო მოღვაწეობის აღსანიშნავად, შულდინას, კალანდაძის, სპატკის, სარაჯიშვილის, პოლიევის, ინაშვილის მონაწ.

I **თქმულება შოთა რუსთაველზე** II **ბალეტი**

კვირას, დილით რუსლან და ლიუდმილა,—საღამოს „მეფის საცოლე".

## სასოფლო მეურნეობის კურსები

მიწათ მოქმედების სამინისტრო ხსნის ამ მიმდინარე თებერვლის 17-ს სასოფლო მეურნეობის საღამოს კურსებს ორივე სქესის პირთათვის სამი განყოფილებით: ჭირნახულის მოყვანის, საქონლის მოშენების (მეძროხეობით) და მებაღეობის (ძვირფასი მცენარეებით).

თხოვნას იღებენ მიწათ მოქმედების სამინისტროს შენობაში (პეტრე დიდის ქუჩა, № 22 შესავალი ეზოდან, მესამე სართული), პირველი საათიდან სამ საათამდე.

თხოვნაზე ორი თითო მანეთიანი მარკა უნდა იყოს დაკრული. (10—3)

## ქართველო მებრძოლო!

ქართველთა ლეგიონი იწვევს მოხალისეებს ახალციხეში მოღალატეების წინააღმდეგ საბრძოლველად! მამულიშვილნო, ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ მტრებს ქართველი ხალხის გმირობა. მოიყარეთ თავი ლეგიონის დროშის ქვეშ!

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა. მეორე ვაჟთა გიმნაზიის სახლი.

ლეგიონის სარდალი ლეო ქერესელიძე. (6—4)

## განცხადება

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო ხსნის სრულ უფლებიან ქართულ გიმნაზიას ორთავე სქესისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამომუშავებული პროგრამით. საბჭო სთხოვს მშობლებს, რომელთაც სურთ მიაბარონ ხსენებულ გიმნაზიებში თავიანთი შვილები, მიაწოდონ ეროვნულ საბჭოს ქ. ბათუმში შემდეგი ცნობები: 1) სქესი მოსწავლისა, 2) მოსწავლეთა რაოდენობა და 3) რომელ კლასში სურს შესვლა. სწავლის ფული იქნება არა უმეტეს იმისა, რაც საქართველოს რესპუბლიკის სხვა გიმნაზიებშია. სწავლა დაიწყება ახლო მომავალში.

მათ, ვინც საქართველოს რესპუბლიკის გიმნაზიებში უკვე შეტანილი აქვთ მეორე ნახევარი სწავლის ფული და მით ისურვებენ ზემო აღნიშნულ გიმნაზიაში გადმოსვლას, ეს ფული უკან დაუბრუნდებათ.

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო (10—10)

[illegible] № 1.